დამტკიცებულია პარტნიორთა
2015 წლის 13 აგვისტოს კრების
გადაწყვეტილებით

შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება

ქუთაისის უნივერსიტეტი

წესდება

ქუთაისი. 2015

მუხლი 1. ზოგადი დებულებები

1.1. პარტნიორთა 2015 წლის 13 აგვისტოს კრების გადაწყვეტილებით, „მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად, შეიცვალა და დამტკიცდა შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოების (ქვემოთ მოიხსენება, როგორც „საზოგადოება“) ეს წესდება.

1.2. საზოგადოების ორგანიზაციულ–სამართლებრივი ფორმაა შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება.

1.3. საზოგადოების საფირმო სახელწოდებაა „ქუთაისის უნივერსიტეტი“.

1.4. საზოგადოება რეგისტრირებული ქუთაისის საქალაქო სასამართლოს მიერ 1996 წლის 10 სექტემბერს რეგისტრაციის ნომრით 12/4-362. საზოგადოების საიდენტიფიკაციო ნომერია 212677094.

1.5. „უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად, საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2011 წლის 21 ივლისის № 91 გადაწყვეტილებით, საზოგადოებას აქვს უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების - უნივერსიტეტის სტატუსი.

1.6. საზოგადოების, როგორც უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების ფუნქციას ასრულებს მისი ძირითადი სტრუქტურული ქვედანაყოფი - უნივერსიტეტი (ქვემოთ მოიხსენება, როგორც „უნივერსიტეტი“).

1.7. საზოგადოების იურიდიული მისამართია:

ქალაქი ქუთაისი, აკაკი წერეთლის ქუჩა, 13.

1.8. საზოგადოების ფაქტობრივი ადგილსამყოფლის მისამართია:

ქალაქი ქუთაისი, აკაკი წერეთლის ქუჩა, 13.

1.9. საზოგადოების ელექტრონული ფოსტის მისამართია:

info@unik.edu.ge.

1.10. საზოგადოების ძირითადი მიზანია მართლზომიერი და არაერთჯერადი ორგანიზებული სამეწარმეო საქმიანობის წარმოება პარტნიორთა მიერ მოგების მიღების მიზნით. ამ მიზნის მისაღწევად საზოგადოებას შეუძლია, განახორციელოს ნებისმიერი ქმედება, რომელიც არ ეწინააღმდეგება მოქმედ კანონმდებლობას.

1.11. საზოგადოების, როგორც უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მისიაა:

- უმაღლესი განათლების სამივე დონეზე პროფესორ-მასწავლებლებისა და სტუდენტების აკადემიური განვითარებისა და შემოქმედებითი პოტენციალის სტიმულირებისათვის სწავლის, სწავლებისა და კვლევის მიმზიდველი სამუშაო გარემოს უზრუნველყოფა;
- სამართლის, სოციალური და გამოყენებითი მეცნიერებების მიმართულებებით მაღალკვალიფიციური, კონკურენტუნარიანი სპეციალისტების მომზადება დინამიური შრომითი ბაზრის მოთხოვნების გათვალისწინებით;
- კრიტიკულ სიტუაციებში ოპტიმალური გადაწყვეტილებების მიღების უნარის, კეთილსინდისიერი და მაღალი მოქალაქეობრივი თვითშეგნების, ეროვნული და ზოგადსაკაცობრიო ღირებულებების მატარებელი თაობების აღზრდა, მათი უნიკალური ინდივიდუალური თავისებურებების აღიარებითა და დაფასებით;
- ადმინისტრაციული პერსონალის, პროფესორ-მასწავლებლების, სტუდენტებისა და კურსდამთავრებულების გრძელვადიანი, ურთიერთპატივისცემაზე დამყარებული ჰარმონიული თანამშრომლობის განვითარება;
- საზოგადოების საგანმანათლებლო-საკონსულტაციო მოთხოვნების დაკმაყოფილება, რეგიონული და საერთო-სახელმწიფო მნიშვნელობის სოციალურ-ეკონომიკური კვლევების განხორციელება.

1.12. აცნობიერებს რა თავის მისიას, უნივერსიტეტი ვალდებულია, მუდმივად ეძებდეს ახალ, პროგრესულ გზებსა და მეთოდებს, რათა მზად შეხვდეს თანამედროვე გამოწვევებს, არ ჩამორჩეს საქართველოს უმაღლესი განათლების სფეროში მიმდინარე რეფორმებს, იყოს შესაბამისობაში ბოლონიის პროცესის მოთხოვნებთან და საკუთარი სტრატეგიის ფორმირების პროცესში ითვალისწინებდეს მსოფლიო ტენდენციებს.

1.13. საზოგადოება წარმოადგენს კერძო სამართლის სამეწარმეო იურიდიულ პირს, აქვს საკუთარი ქონება, საბანკო ანგარიშები, სასაქონლო ნიშანი, საკუთარი სახელით იძენს უფლებებსა და მოვალეობებს, დებს გარიგებებს, გამოდის სასამართლოში მოპასუხედ და მოსარჩლედ.

1.14. უნივერსიტეტს აქვს თავისი სიმბოლოები - გერბი, დროშა და ჰიმნი.

1.15. საზოგადოება დაარსებულია განუსაზღვრელი ვადით. საზოგადოების, როგორც იურიდიულ პირის, უფლებაუნარიანობა წარმოშობილია მისი მეწარმეთა და არასამეწარმეო იურიდიულ პირთა რეესტრში „მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონით განსაზღვრული წესით რეგისტრაციის დღიდან - 1996 წლის 10 სექტემბრიდან. უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების უფლებამოსილება უნივერსიტეტს აქვს საქართველოს რესპუბლიკის განათლების სამინისტროს მიერ შესაბამისი ლიცენზიის (№ 01-17-08/2204) გაცემის დღიდან - 1991 წლის 8 ოქტომბრიდან.

1.16. საზოგადოების, როგორც იურიდიული პირის უფლებები და მოვალეობები განისაზღვრება ამ წესდებით, საქართველოს კონსტიტუციით, საქართველოს სამოქალაქო კოდექსით, „მეწარმეთა შესახებ“ და „უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონებით, საქართველოში მოქმედი სხვა კანონებითა და ნორმატიული აქტებით, საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულებებით. თუ საზოგადოება, როგორც იურიდიული პირი, კერძო სამართლის სხვა სამეწარმეო იურიდიული პირის მონაწილე, კერძო სამართლის არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის დამფუძნებელი ან წევრია, მისი დამატებითი უფლებები და მოვალეობები განისაზღვრება კერძო სამართლის ამ იურიდიული პირის წესდებით. საზოგადოების სხვა დამატებითი უფლება-მოვალეობანი განისაზღვრება მის მიერ სხვა პირებთან დადებული ორმხრივი ან მრავალმხრივი ხელშეკრულებებით.

1.17. კანონისმიერი და ნაკისრი ვალდებულებებისათვის საზოგადოება პასუხს აგებს მთელი თავისი ქონებით.

1.18. საზოგადოების ვალდებულებებზე პარტნიორები პასუხს აგებენ მხოლოდ თავიანთი შენატანების ფარგლებში საზოგადოების კაპიტალში.

1.19. საზოგადოება პასუხს არ აგებს თავისი პარტნიორების იმ ვალდებულებებზე, რომლებიც დაკავშირებული არაა საზოგადოების საქმიანობასთან.

1.20. საზოგადოება პასუხს არ აგებს სახელმწიფოს ვალდებულებებზე.

1.21. სახელმწიფო პასუხს არ აგებს საზოგადოების ვალდებულებებზე.

მუხლი 2. საზოგადოების პარტნიორები, მათი ურთიერთობები და უფლება-მოვალეობები

2.1. საზოგადოების პარტნიორი შეიძლება იყოს კერძო სამართლის ნებისმიერი უფლებაუნარიანი ურიდიული პირი (გარდა თვითონ საზოგადოებისა) ან ფიზიკური პირი, რომელიც საქართველოს კანონმდებლობით უფლებამოსილია, იყოს ქონების მესაკუთრე.

2.2. საზოგადოების პარტნიორებია:

- ლელა ქელბაქიანი, ქიმიის მეცნიერებათა დოქტორი;
- ლაშა ლაღიძე, ეკონომიკის მეცნიერებათა დოქტორი.

2.3. ფიზიკური ან იურიდიული პირი საზოგადოების პარტნიორი ხდება მაშინ, როცა იგი საზოგადოების კაპიტალის გაზრდისას პარტნიორთა კრების გადაწყეტილების შესაბამისად ხდება ახალი წილის მესაკუთრე კაპიტალში ახალი შენატანების შეტანის გზით ან როცა იგი საკუთრებად მიიღებს უკვე არსებულ წილს ან წილის ნაწილს სხვა პარტნიორისაგან (პარტნიორებისაგან) ნასყიდობით, ჩუქებით, გაცვლით ან მემკვიდრეობით.

2.4. პარტნიორები მონაწილეობენ საზოგადოების საქმიანობასა და მართვაში ამ წესდებით განსაზღვრული პირობებით. თითოეული პარტნიორის უფლება, მონაწილეობდეს საზოგადოების მართვასა და მისი მოგების განაწილებაში, დამოკიდებულია საზოგადოების კაპიტალში მისი წილის სიდიდეზე.

2.5. ამ წესდებით განსაზღვრულ ურთიერთობებში, იმ ურთიერთობების გარდა, რომლებიც სპეციალურადაა განსაზღვრული ან დაკავშირებულია სასამართლო პროცესებთან პარტნიორსა და საზოგადოებას შორის, საზოგადოების პარტნიორი ფიზიკური პირები მონაწილეობენ უშუალოდ. ამგვარ ურთიერთობებში პარტნიორის მონაწილეობა რწმუნებულის მეშვეობით დასაშვებია მხოლოდ მაშინ, როცა პარტნიორს პატივსადები მიზეზით არ შეუძლია უშუალოდ შეასრულოს ესა თუ ის ქმედება. რწმუნებული პარტნიორს ურთიერთობებში წარმოადგენს მხოლოდ სანოტარო წესით დამოწმებული შესაბამისი წერილობითი მინდობილობის საფუძველზე, რომელიც წყდება მინდობილობაში მითითებული ვადის გასვლით ან პარტნიორის მიერ ამ წესდებით განსაზღვრული ურთიერთობის პირველი უშუალო შესრულების დღიდან მინდობილობაში მითითებული ვადის გასვლამდე. სასამართლო პროცესებში საზოგადოებასა და პარტნიორს შორის პარტნიორის წარმომადგენლობა რწმუნებულის მეშვეობით წესრიგდება სამოქალაქო საპროცესო კოდექსით. საზოგადოების პარტნიორი ფიზიკური პირის წარმომადგენლობა ამ ურთიერთობებში, როცა იგი არასრულწლოვანია ან მისი ქმედუნარიანობა შეზღუდულია, წესრიგდება საქართველოს სამოქალაქო კოდექსით. საზოგადოების პარტნიორი იურიდიული პირები ამ ურთიერთობებში მონაწილეობენ მათივე წესდებით განსაზღვრული წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირების მეშვეობით.

2.6. თუ საზოგადოების პარტნიორთა კრება საზოგადოების წლიური ანგარიშგების დამტკიცების შემდეგ გადაწყვეტს საზოგადოების წლიური მოგების განაწილებას პარტნიორთა შორის, თითოეულ პარტნიორს მიეცემა საზოგადოების წლიური მოგების ნაწილი (დივიდენდი) კაპიტალში მისი წილის პროპორციული ოდენობით.

2.7. პარტნიორს შეუძლია, გაასხვისოს თავისი წილი ან წილის ნაწილი საზოგადოების კაპიტალში - გადასცეს მემკვიდრეობით, გაუცვალოს სხვა საკუთრებაში, მიყიდოს ან აჩუქოს ერთ ან რამოდენიმე პარტნიორს ან ნებისმიერ მესამე პირს (პირებს), გარდა თვითონ საზოგადოებისა.

2.8. პარტნიორის მთელი წილის ან წილის გაყიდვის შემთხვევაში სხვა პარტნიორები სარგებლობენ მისი შეძენის უპირატესი უფლებით.

2.9. კაპიტალში წილის გასასხვისებლად (გარდა მემკვიდრეობით გადაცემისა) საჭიროა პარტნიორთა კრების თანხმობა წილის მიმღებისა და გასასხვისებელი წილის ღირებულების მითითებით.

2.10. წილი ან წილის ნაწილი გასხვისებულად ითვლება შესაბამისი წერილობითი ხელშეკრულების საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოში დარეგისტრირებისა და შესაბამისი ცვლილებების მეწარმეთა და არასამეწარმეო იურიდიულ პირთა რეესტრში რეგისტრაციის შემდეგ.

2.11. წილის (წილის ნაწილის) მესამე პირისათვის გადაცემის შემდეგ ამ პირზე გადადის ყოფილი პარტნიორის ყველა უფლება–მოვალეობა.

2.12. პარტნიორს უფლება აქვს, გამოიყენოს თავისი წილი საზოგადოების კაპიტალში, როგორც მოთხოვნის უზრუნველყოფის საშუალება – გირაო. წილის დაგირავება ძალაშია მხოლოდ შესაბამისი ხელშეკრულების სანოტარო წესით დამოწმებისა და მისი საჯარო რეესტრში რეგისტრაციის დღიდან. წილის დამგირავებელი პარტნიორი ვალდებულია, გირავნობის ხელშეკრულების გაფორმებისთანავე ამ ხელშეკრულების ერთი ასლი წარუდგინოს საზოგადოების დირექტორს. წილის დაგირავება არ ცვლის დამგირავებელი პარტნიორის უფლება-მოვალეობებს საზოგადოების მიმართ, კერძოდ, დაგირავების შემდეგაც დაგირავებულ წილს საზოგადოებასთან ურთიერთობებში წარმოადგენს მისი მესაკუთრე პარტნიორი.

2.13. პარტნიორს უფლება აქვს, გადასცეს თავისი წილი კაპიტალში მესამე პირს სამართავად საკუთრების მინდობის ხელშეკრულებით. მესამე პირისათვის წილის მინდობა დასაშვებია მხოლოდ მაშინ, როცა პარტნიორს პატივსადები მიზეზის გამო საშუალება არა აქვს, დიდი ხნის განმავლობაში თვითონ,

უშუალოდ შეასრულოს საზოგადოების პარტნიორის ამ წესდებით განსაზღვრული მოვალეობები. წილის მესამე პირისათვის მისანდობად აუცილებელია პარტნიორთა კრების თანხმობა. პარტნიორთა კრებას შეუძლია უარი თქვას ამგვარი თანხმობის მიცემაზე, თუ არ არსებობს პატივსადები მიზეზი იმისათვის, რომ პარტნიორმა თვითონ ვერ მართოს თავისი წილი ან როცა პარტნიორის მიერ შემოთავაზებული მინდობილი მესაკუთრე მიუღებელია დანარჩენი პარტნიორებისათვის მნიშვნელოვან გარემოებათა გამო. წილის მინდობის ხელშეკრულება ძალაშია მისი სანოტარო წესით დამოწმების დღიდან. წილის მინდობის ძალაში შესვლის შემდეგ საზოგადოებასთან ყოველგვარ ურთიერთობას ახორციელებს მინდობილი მესაკუთრე. წილის მესაკუთრე პარტნიორს თავისი სახელით ამ ურთიერთობებში გამოსვლა შეუძლია მხოლოდ წილის მინდობის ხელშეკრულების გაწყვეტის შემდეგ. წილის მინდობილ მესაკუთრეს არ შეუძლია, თავის მხრივ, წილი მინდობით გადასცეს სხვა პირს, გაასხვისოს ან დააგირაოს იგი წილის მესაკუთრის თანხმობის გარეშე. მინდობილი მესაკუთრის ქმედებით საზოგადოებისათვის მიყენებულ ზიანზე პასუხისმგებლობა ეკისრება წილის მესაკუთრე პარტნიორს. სხვა ურთიერთობები წილის მესაკუთრესა და მინდობილ მესაკუთრეს შორის წესრიგდება საქართველოს სამოქალაქო კოდექსით.

2.14. არ შეიძლება, პარტნიორის წილი მიეცეს გირაოდ ან მინდობით საზოგადოებას.

2.15. დაუშვებელია წილის ნაწილის დაგირავება ან მინდობით გადაცემა.

2.16. წილის (წილის ნაწილის) გასხვისება, წილის დაგირავება და მინდობით გადაცემა დასაშვებია მხოლოდ იმ შემთხვევაში, როცა ამ წილის შესაბამისი შესატანები საზოგადოების კაპიტალში სრულადაა შეტანილი.

2.17. პარტნიორის პირადი ვალების დასაფარავად მისი ქონების უკმარისობის შემთხვევაში კრედიტორებს უფლება აქვთ, მოითხოვონ პარტნიორ–მევალის ნებისმიერი სხვა ქონებისა და უფლებების მიმართ კანონმდებლობით გათვალისწინებულ ღონისძიებათა განხორციელება საზოგადოების კაპიტალში მისი წილის მიმართაც.

2.18. პარტნიორს, თუ მისი წილი არ აღემატება საზოგადოების კაპიტალის 50 პროცენტს და ეს წილი სრულადაა შეტანილი, შეუძლია გავიდეს საზოგადოებიდან, რისთვისაც წერილობითი განცხადებით უნდა მიმართოს საზოგადოების დირექტორს თორმეტი ან მეტი თვით ადრე სამეურნეო წლის დამთავრებამდე. თუ პარტნიორის წილი კაპიტალის 50 პროცენტს აღემატება, საზოგადოებიდან მის გასასვლელად აუცილებელია პარტნიორთა კრების თანხმობა. პარტნიორთა კრებას შეუძლია, უარი უთხრას პარტნიორს საზოგადოებიდან გასვლაზე მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მისი გასვლა არსებით საფრთხეს უქმნის საზოგადოებას.

2.19. გასულ პარტნიორს ეძლევა საზოგადოების ქონების ნაწილი კაპიტალში მისი წილის პროპორციული ოდენობით ფულადი თანხით ან, დარჩენილი პარტნიორების თანხმობის შემთხვევაში, ნატურით. გასული პარტნიორისათვის ნატურით მისაცემი ქონების ღირებულებას ადგენს დამოუკიდებელი აუდიტორი გასული პარტნიორისათვის წილის ნატურით მიცემის გადაწყვეტილების მიღებიდან ათი დღის ვადაში. ნატურით გასაცემი ქონების შეფასებისა და გადაცემის ხარჯები გამოიქვითება გასაცემი წილიდან ან ანაზღაურდება გასული პარტნიორის მიერ.

2.20. გასულ პარტნიორს მისი წილი საზოგადოების ქონებიდან მიეცემა საზოგადოების იმ სამეურნეო წლის წლიური ანგარიშგების დამტკიცების შემდეგ, რომელშიც იგი გავიდა საზოგადოებიდან, მაგრამ არაუგვიანეს 12 თვისა გასვლის შესახებ დირექტორისათვის განცხადების წარდგენის დღიდან. ამ დღიდან შესაბამისად მცირდება კაპიტალი სათანადო წესების დაცვით.

2.21. გასულ პარტნიორს სამეურნეო წლის ბოლოს ეძლევა თავისი წილი იმ წლიური მოგებიდან, რომელიც მიიღო საზოგადოებამ იმ წელს მის გასვლამდე.

2.22. პარტნიორის გარდაცვალებისას მისი წილი და უფლება-მოვალეობანი გადაეცემა მის კანონიერ მემკვიდრეს (მემკვიდრეებს) ან სხვა პირებს ანდერძის შესაბამისად, როცა ანდერძი არსებობს. თუ პარტნიორი იურიდიული პირია, ეს წესი ვრცელდება მის უფლებამონაცვლეზე მისი რეორგანიზაციის ან ლიკვიდაციის შემთხვევაში.

2.23. ყოველი პარტნიორი ვალდებულია, შეიტანოს თავისი წილის შესაბამისი შესატანები საზოგადოების კაპიტალში ამ წესდებით განსაზღვრული ოდენობით, ფორმითა და წესით და დამატებითი შესატანები კაპიტალში პარტნიორთა კრების მიერ განსაზღვრული წესით.

2.24. თუ საზოგადოების კაპიტალში 5 პროცენტიანი ან უფრო დიდი წილი სხვა საწარმოს საკუთრება გახდება, პარტნიორმა საწარმომ ამის შესახებ დაუყოვნებლივ უნდა აცნობოს წერილობით საზოგადოების დირექტორს.

2.25. თუ პარტნიორი სხვა საწარმოა და მისი წილი საზოგადოების კაპიტალის 75%-ზე მეტია, იგი პასუხს აგებს საზოგადოებისათვის განზრახ მიყენებული ზიანისათვის, რომელიც უკავშირდება საზოგადოებასა და პარტნიორ საწარმოს შორის დადებულ გარიგებებს.

2.26. თუ ერთი ან ერთად მოქმედი პარტნიორები, რომლებსაც პრაქტიკული შესაძლებლობა აქვთ, გადამწყვეტი ზეგავლენა მოახდინონ პარტნიორთა კრებაზე კენჭისყრის შედეგებზე, თავიანთ მდგომარეობას განზრახ გამოიყენებენ საზოგადოების საზიანოდ, ისინი ვალდებული არიან, გადაუხადონ სათანადო კომპენსაციები დანარჩენ პარტნიორებს.

2.27. ყოველ პარტნიორს უფლება აქვს, მიიღოს საზოგადოების წლიური ანგარიშგებისა და ყველა სხვა პუბლიკაციის ასლი, წლიური ანგარიშგების სისწორის შესამოწმებლად მის დამტკიცებამდე გაეცნოს საზოგადოების საბუღალტრო წიგნებს და მოითხოვოს განმარტებები საზოგადოების მმართველი ორგანოებისაგან უშუალოდ ან დამოუკიდებელი აუდიტორის მეშვეობით. ინფორმაციას გასცემს დირექტორი, რომელსაც, პარტნიორთა კრების გადაწყვეტილებით, შეუძლია არ გასცეს ეს ინფორმაცია, თუ შესაძლებელია, რომ პარტნიორმა იგი საზოგადოების საწინააღმდეგო მიზნებისათვის გამოიყენოს და ზიანი მიაყენოს საზოგადოებას ან მის მეკავშირე სხვა საწარმოს. ამ შემთხვევაში პარტნიორს უფლება აქვს, ამგვარი ინფორმაციის მისაღებად მიმართოს სასამართლოს.

2.28. ამ წესდებით განსაზღვრული ურთიერთობების ფარგლებში ყოველგვარი დავა პარტნიორთა შორის ან პარტნიორსა და საზოგადოებას შორის განიხილება საერთო სასამართლოს ან, მხარეთა ურთიერთშეთანხმებით, რომელიმე არბიტრაჟის მიერ.

მუხლი 3. საზოგადოების ქონება, კაპიტალი და ფინანსები

3.1. საზოგადოების ქონება შედგება კაპიტალის, ფულადი სახსრების, სხვა ნივთებისა და არამატერიალური ქონებრივი სიკეთისაგან, რომლებზეც საკუთრების უფლებაც საზოგადოებას მოპოვებული აქვს კანონიერად.

3.2. საზოგადოების ქონების ფორმირების წყაროებია:

- პარტნიორთა შენატანები საზოგადოების კაპიტალში,
- სწავლის საფასური, რომელიც იფარება სახელმწიფო სასწავლო გრანტითა და სახელმწიფო სასწავლო სამაგისტრო გრანტით,
- საკონკურსო შერჩევის საფუძველზე სახელმწიფოს მიერ გაცემული სამეცნიერო-კვლევითი გრანტები,
- საქართველოს სამინისტროების მიერ გამოყოფილი პროგრამული დაფინანსება,
- ყველა სახის სამეურნეო საქმიანობის შედეგად მიღებული ამონაგები,
- შემოსავლები საზოგადოების კუთვნილი ფასიანი ქაღალდებიდან, წილებიდან სხვა საწარმოთა კაპიტალებში, სხვა ქონებრივი უფლებებიდან და მოთხოვნებიდან,
- საზოგადოების მიერ ბანკისა და სხვა კრედიტორებისაგან მიღებული სესხები,
- მესამე პირთა საკუთრებით შეზღუდული სარგებლობის ნაყოფი,
- გრანტის, შემოწირულების სახით ან ანდერძით მიღებული შემოსავლები,
- მოქმედი კანონმდებლობით დაშვებული სხვა გზებით მოპოვებული ქონება.

3.3. კაპიტალი არის საზოგადოების ქონების ნაწილი, რომელიც განსაზღვრავს პარტნიორთა პასუხისმგებლობას საზოგადოების ვალდებულებებისათვის. კაპიტალი ყალიბდება მხოლოდ პარტნიორთა შენატანებით და წარმოადგენს პარტნიორთა შესატანების, მათ შორის მათი შეუტანელი ნაწილების, ჯამს.

3.4. პარტნიორთა შენატანი საზოგადოების კაპიტალში შეიძლება იყოს ფულადი სახსრები (მათ შორის უცხოური ვალუტა), მიწის ნაკვეთები, შენობა–ნაგებობები და სხვა უძრავი ქონება, ნებისმიერი მოძრავი ნივთები და სხვა მატერიალური ქონებრივი ობიექტები ან არამატერიალური ქონება, თუ ეს ქონება კაპიტალში შეტანამდე წარმოადგენდა პარტნიორის საკუთრებას, აგრეთვე - საზოგადოებისათვის მომსახურების გაწევა ან სამუშაოს შესრულება.

3.5. საზოგადოების კაპიტალში პარტნიორთა მიერ შეტანილი არაფულადი მატერიალური ქონების, არამატერიალური ქონების, შესრულებული სამუშაოს ან გაწეული მომსახურების ღირებულება განისაზღვრება დამოუკიდებელი აუდიტორის მიერ.

3.6. პარტნიორის შესატანი საზოგადოების კაპიტალში ფასდება საქართველოს ეროვნული ბანკის ფულად ერთეულში. კაპიტალი წარმოადგენს ყველა შესატანის ღირებულების ჯამს. ამ ჯამის სიდიდე არის კაპიტალის ნომინალური ღირებულება.

3.7. კაპიტალის შენატანები, თუ ეს შესაძლებელია, მიმოიქცევა ჩვეულებრივად, ისევე როგორც საზოგადოების დანარჩენი ქონება.

3.8. პარტნიორის წილი საზოგადოების კაპიტალში არის მისი შესატანების მთლიანი ღირებულებისა და საზოგადოების კაპიტალის ნომინალური ღირებულების თანაფარდობა, გაზომილი პროცენტებში მეასედების სიზუსტით. პარტნიორის წილის ნომინალური ღირებულება არის მისი ყველა შესატაის ღირებულებათა ჯამი. გასხვისებით წილის სიდიდე და ნომინალური ღირებულება არ იცვლება. ამა თუ იმ პარტნიორის წილი საზოგადოების კაპიტალში შეიძლება გაიზარდოს მხოლოდ სხვა წილის ან მისი ნაწილის შეძენით (ან სხვა კანონიერი ფორმით მიღებით მისი მესაკუთრისაგან) ან დამატებითი შენატანების განხორციელების გზით პარტნიორთა კრების გადაწყვეტილების შესაბამისად.

3.9. საზოგადოების კაპიტალის ნომინალური ღირებულება ამ წესდების დამტკიცების დღეს შეადგენს ლარს.

3.10. ამ წესდების დამტკიცების დღეს პარტნიორთა წილები საზოგადოების კაპიტალში შეადგენს:

- ლელა ქელბაქიანისა - 50,00 (ორმოცდაათ) პროცენტს,
- ლაშა ლაღიძისა - 50,00 (ორმოცდაათ) პროცენტს.

3.11. შენატანი (შენატანის ნაწილი) კაპიტალში შეიძლება, უკან დაუბრუნდეს პარტნიორს და შესაბამისად შემცირდეს მისი წილი კაპიტალში. თუ შენატანი კაპიტალში რამოდენიმე პარტნიორის წილობრივ–საკუთრებითი არაფულადი ობიექტი იყო, შენატანი (შენატანის ნაწილი) პარტნიორს დაუბრუნდება შესაბამისი ფულადი თანხით.

3.12. საზოგადოების ფინანსური რესურსები ყალიბდება კაპიტალის ფულადი ნაწილის, არაფულადი აქტივების რეალიზაციით მიღებული ფულადი თანხების, სხვა საწარმოთა მოგებიდან მიღებული დივიდენდების, მოგების, ამორტიზაციის ანარიცხების, კრედიტის, ფულადი გრანტებისა და შემოწირულობების და სხვა ფინანსური სახსრების ხარჯზე.

3.13. საზოგადოებას, დამატებითი ფინანსური რესურსების მობილიზაციისათვის, შეუძლია, გამოუშვას ფასიანი ქაღალდები, აიღოს სესხები საბანკო დაწესებულებების, სხვა იურიდიული და ფიზიკური პირებისაგან.

3.14. საზოგადოების მიერ მიღებული ამონაგებით პირველ რიგში ანაზღაურდება მატერიალური და მასთან გათანაბრებული დანახარჯები, შრომის ანაზღაურების ხარჯები, კანონით დადგენილი სახელმწიფო და ადგილობრივი გადასახადები და მოსაკრებლები, კრედიტთა მომსახურების პროცენტები.

3.15. ამ წესდების 3.14 პუნქტით განსაზღვრული ანაზღაურებების შემდეგ მის განკარგულებაში დარჩენილი მოგების (სუფთა მოგების) ხარჯზე საზოგადოებას შეუძლია, შექმნას რეზერვი. რეზერვის წარმოქმნის ნორმატივი და მისი გამოყენების მიმართულებები განიხილება და მტკიცდება პარტნიორთა კრების მიერ.

3.16. დარჩენილი მოგება, რეზერვის შევსებისა და კანონმდებლობით განსაზღვრული და პარტნიორთა მიერ დაწესებული სხვა ფონდების ფორმირების შემდეგ, პარტნიორთა კრების გადაწყვეტილებით ნაწილდება პარტნიორთა შორის კაპიტალში მათი წილების პროპორციულად. თუ პარტნიორთა კრება დაადგენს, რომ მოგება არ განაწილდეს, მაშინ იგი რჩება საზოგადოებაში და გათვალისწინებულ იქნება პარტნიორებზე დივიდენდების განაწილებისას მომდევნო სამეურნეო წლებში.

3.17. ფულად ანგარიშსწორებას იურიდიულ და ფიზიკურ პირებთან საზოგადოება აწარმოებს საანგარიშსწორებო და საკასო ოპერაციების ჩატარებისათვის კანონმდებლობით დადგენილი წესით. საზოგადოება თვითონ ირჩევს საბანკო დაწესებულებას საკრედიტო–საანგარიშსწორებო ოპერაციების განსახორციელებლად.

3.18. საზოგადოების საბანკო ანგარიშებიდან ფულადი სახსრების ჩამოწერა მესამე პირთა სასარგებლოდ, როცა ეს დაკავშირებული არაა ნაკისრ ვალდებულებასთან ან ჩვეულებრივ სამეურნეო საქმიანობასთან, შეიძლება განხორციელდეს მხოლოდ პარტნიორთა კრების თანხმობით ან სასამართლოს გადაწყვეტილებით მოქმედი კანონმდებლობით განსაზღვრულ შემთხვევებში.

3.19. საზოგადოების კაპიტალი და სხვა დანარჩენი ქონება წარმოადგენს საზოგადოების, როგორც იურიდიული პირის, საკუთრებას. არცერთ პარტნიორს, მიუხედავად საზოგადოების კაპიტალში მისი წილის სიდიდისა, არა აქვს კაპიტალისა და საზოგადოების სხვა ქონების განკარგვის უფლება საზოგადოების თანხმობის გარეშე.

3.20. არცერთ პარტნიორს, იმ ვალდებულებათა შესრულებისათვის, რაც მას ეკისრება ამ წესდებითა და კანონმდებლობით, საზოგადოების ქონებიდან არ შეიძლება მიეცეს რაიმე სხვა საზღაური, გარდა დივიდენდისა.

მუხლი 4. საზოგადოების მართვა

4.1. საზოგადოების მართვა ხორციელდება მოქმედი კანონმდებლობისა და ამ წესდების დებულებათა დაცვით. საზოგადოების ძირითადი სტრუქტურული ქვედანაყოფის - უნივერსიტეტის მართვისას დაცული უნდა იყოს პრინციპები: უნივერსიტეტის ხელმძღვანელი ორგანოებისა და ადმინისტრაციის გადაწყვეტილებათა საჯაროობა და ხელმისაწვდომობა; აკადემიური პერსონალისა და სტუდენტების აკადემიური თავისუფლება; აკადემიური პერსონალისა და სტუდენტების მონაწილეობა მართვის პროცესში; აკადემიური პერსონალისა და მმართველი ორგანოების არჩევითობა სამართლიანობის, გამჭვირვალობისა და საჯაროობის უზრუნველყოფით; თანასწორუფლებიანობა განურჩევლად პირის ეთნიკური კუთვნილების, სქესის, სოციალური წარმოშობის, პოლიტიკური და რელიგიური მრწამსისა.

4.2. საზოგადოების მმართველი ორგანოა პარტნიორთა კრება, რომელშიც შედის ყველა პარტნიორი.

4.3. პარტნიორთა კრება ღებულობს გადაწყვეტილებებს საზოგადოების საქმიანობის საკითხებზე. ამ გადაწყვეტილებათა აღსრულება სავალდებულოა ყველა პარტნიორის, დირექტორის, უნივერსიტეტის რექტორისა და საზოგადოების თანამშრომლისათვის ამ წესდებისა და საზოგადოების შინაგანაწესის დებულებათა გათვალისწინებით. როცა საზოგადოებაში მხოლოდ ერთი პარტნიორია, მისი ერთპიროვნული გადაწყვეტილებები ცვლის პარტნიორთა კრების გადაწყვეტილებებს.

4.4. იმ შემთხვევაში, როდესაც პარტნიორთა კრების გადაწყვეტილების მიღება შეეხება უშუალოდ ამა თუ იმ პარტნიორის დასაქმებას საზოგადოებაში, მასთან გარიგების დადებას, მისი ანგარიშის დამტკიცებას (როცა იგი დასაქმებულია საზოგადოებაში ან მინდობილობის საფუძველზე ასრულებდა საზოგადოების სახელით ამა თუ იმ ქმედებას) ან საზოგადოებასა და ამ პარტნიორს შორის არსებულ დავას, ეს პარტნიორი ამ საკითხზე კენჭისყრაში არ მონაწილეობს.

4.5. პარტნიორთა კრების განსაკუთრებული კომპეტენციაა:

ა) ახალი სამეურნეო საქმიანობის წამოწყება, წამოწყებული საქმიანობის შეწყვეტა, საწარმოთა შეძენა, გასხვისება, მათი მოთხოვნების უზრუნველყოფის საშუალებად გამოყენება, ქირავნობა, იჯარა, ლიკვიდაცია;

ბ) უძრავი ქონების შეძენა (ლიზინგის ჩათვლით), დაქირავება, იჯარა, თხოვება, გასხვისება (ლიზინგის ჩათვლით), ვალდებულებებით დატვირთვა, გაქირავება, იჯარით გაცემა, განათხოვრება;

გ) საზოგადოების წესდების დამტკიცება და მისი მთლიანად ან ნაწილობრივ შეცვლა;

დ) საზოგადოების სარეგისტრაციო მონაცემების შეცვლა;

ე) საზოგადოების სტრუქტურული ქვედანაყოფების გახსნა და ლიკვიდაცია საზოგადოების შინაგანაწესის დებულებათა დაცვით, მათი საქმიანობის წესების განსაზღვრა საზოგადოების შინაგანაწესის (მისი ცვლილებების) დამტკიცების გზით;

ვ) ფილიალების გახსნა, რეორგანიზაცია და ლიკვიდაცია, ფილიალების დებულებების დამტკიცება;

ზ) საზოგადოებისა და მისი ფილიალების შინაგანაწესებისა და მათი ცვლილებების დამტკიცება;

თ) პარტნიორთა მიერ კაპიტალში დამატებითი შესატანების შეტანის ოდენობის, ფორმისა და წესის დადგენა;

ი) პარტნიორებისათვის კაპიტალის შენატანების უკან დაბრუნების საკითხის გადაწყვეტა;

კ) საზოგადოებიდან გასვლის უფლების მინიჭება იმ პარტნიორისათვის, რომლის წილი კაპიტალის 50 პროცენტს აღემატება;

ლ) პარტნიორის წილის გასხვისების საკითხის გადაწყვეტა;

მ) გადაწყვეტილების მიღება სხვა საწარმოებში წილების შეძენისა და ასეთი წილების გასხვისების თაობაზე;

ნ) გადაწყვეტილების მიღება საზოგადოების სახელშეკრულებო კონცერნებში, კონსორციუმებში, კერძო სამართლის არასამეწარმეო იურიდიულ პირებსა და სხვა მსგავს გაერთიანებებში დამფუძნებლად ან წევრად მონაწილეობის თაობაზე;

ო) გადაწყვეტილების მიღება საზოგადოების რეორგანიზაციისა და ლიკვიდაციის შესახებ;

პ) საზოგადოების დირექტორის დანიშვნა და გათავისუფლება;

ჟ) უნივერსიტეტის რექტორის დანიშვნა და გათავისუფლება;

რ) ნებართვის მიცემა დირექტორისათვის პროკურის გაცემასა და ფრენშაიზინგის ხელშეკრულებების დადებაზე;

ს) ხელშეკრულებათა დამტკიცება ინვესტიციებზე, რომელთა ჯამური ღირებულება ერთი სამეურნეო წლის განმავლობაში აღემატება საზოგადოების აქტივების ნახევარს;

ტ) საზოგადოების წარმომადგენლობის განსაზღვრა დირექტორთან ან უნივერსიტეტის რექტორთან ურთიერთობებში და დირექტორის ან უნივერსიტეტის რექტორის წინააღმდეგ წარმართულ პროცესებში;

უ) საზოგადოების, მისი ძირითადი და სხვა სტრუქტურული ქვედანაყოფების მომავალი სამეურნეო წლის სავარაუდო შემოსავლებისა და ხარჯების გეგმის დამტკიცება;

ფ) აუდიტორის არჩევა;

ქ) საზოგადოების, მისი ფილიალებისა და სხვა სტრუქტურული ქვედანაყოფების საქმიანობის წლიური ანგარიშგებისა და აუდიტორების დასკვნების, მოგების განაწილების დებულების დამტკიცება, ზარალის დაფარვის წესების განსაზღვრა;

ღ) საზოგადოების სტრუქტურული ქვედანაყოფების (გარდა უნივერსიტეტის და მისი სტრუქტურული ერთეულებისა) თანამშრომელთა ნუსხის დამტკიცება საზოგადოების დირექტორის წარდგინებით;

ყ) უნივერსიტეტის აკადემიური და მასწავლებელთა პერსონალის ნუსხის, უნივერსიტეტისა და მისი სტრუქტურული ერთეულების ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალის ნუსხის დამტკიცება უნივერსიტეტის რექტორის წარდგინებით;

შ) საზოგადოების თანამშრომელთა შრომის ანაზღაურების ოდენობისა და პირობების განსაზღვრა;

ჩ) ემერიტუსისათვის აკადემიური სტიპენდიის დანიშვნა;

ც) საზოგადოების ადმინისტრაციული პერსონალის თანამდებობის პირთა მატერიალური წახალისება;

ძ) საზოგადოების ადმინისტრაციული პერსონალის თანამდებობის პირთათვის მატერიალური პასუხისმგებლობის დაკისრებაზე თანხმობის მიცემა;

წ) საზოგადოების იმ თანამშრომლისათვის ზიანის ანაზღაურების დაკისრების საკითხის გადაწყვეტა, რომელსაც შრომითი ხელშეკრულების შეწყვეტისას გამოუვლინდა საზოგადოების მიბარებული ქონების დანაკლისი;

ჭ) უნივერსიტეტის სტუდენტებზე გასაცემი სტიპენდიების ოდენობის განსაზღვრა;

ხ) უნივერსიტეტის ბაკალავრიატის, მაგისტრატურისა და დოქტორანტურის აკადემიური უმაღლესი განათლების საგანმანათლებლო პროგრამებით სტუდენტის სწავლის წლიური საფასურის, სასერტიფიკატო პროგრამებით სწავლის საფასურისა და მისი გადახდის წესის განსაზღვრა;

ჯ) უნივერსიტეტში ბაკალავრიატის, მაგისტრატურისა და დოქტორანტურის აკადემიური უმაღლესი განათლების ახალი საგანმანათლებლო პროგრამის შემოღების ან არსებულის გაუქმების საკითხის გადაწყვეტა;

ჰ) უნივერსიტეტში ახალი სასერტიფიკატო სასწავლო პროგრამის შემოღების ან არსებულის გაუქმების საკითხის გადაწყვეტა.

4.6. კრებას შეუძლია გადაწყვიტოს საზოგადოების საქმიანობასთან დაკავშირებული ყველა სხვა საკითხიც, რომელიც რეგლამენტირებული არაა ამ წესდების 4.5 პუნქტით, თუ ეს არ ეწინააღმდეგება ამ წესდებასა და კანონმდებლობას და იგი შეტანილია დღის წესრიგში ამ წესდებით გათვალისწინებულ პროცედურათა დაცვით.

4.7. კრება გადაწყვეტილებას ყველა საკითხზე, გარდა ამ წესდების 10.2-10.4 პუნქტებით განსაზღვრულისა, ღებულობს კრებაზე წარმოდგენილ ხმათა უბრალო უმრავლესობით, ღია კენჭისყრით.

4.8. კრებაში პარტნიორი მონაწილეობს უშუალოდ, რწმუნებულის ან მინდობილი მესაკუთრის მეშვეობით ამ წესდების 2.5 და 2.14 პუნქტების მოთხოვნათა დაცვით. კრებაში მონაწილეობისას თითოეულ პარტნიორს აქვს იმდენი ხმა, პროცენტის რამდენ მეასედსაც შეიცავს მისი წილი საზოგადოების კაპიტალში.

4.9. კრება გადაწყვეტილებაუნარიანია, თუ მის მუშაობაში მონაწილე პარტნიორები ხმათა მთლიანი რიცხვის უმეტესობას ფლობენ. თუ კრება გადაწყვეტილებაუუნაროა, კრების მომწვევს შეუძლია, განმეორებით მოიწვიოს იგი, სულ ცოტა, ათი დღის შუალედით იგივე დღის წესრიგით. განმეორებით მოწვეული კრება გადაწყვეტილებაუნარიანია იმ შემთხვევაშიც, როცა გამოცხადებული პარტნიორები არ ფლობენ ხმათა მთლიანი რიცხვის უმეტესობას.

4.10. პარტნიორთა რიგითი კრება იმართება წელიწადში ერთხელ, სამეურნეო წლის დამთავრებიდან სამი თვის განმავლობაში. რიგითი კრების დღის წესრიგის აუცილებელი საკითხია საზოგადოების გასული სამეურნეო წლის ანგარიშგებისა და აუდიტორის შესაბამისი აქტის (თუ წლიური ანგარიშის აუდიტორული შემოწმება გათვალისწინებული იყო პარტნიორთა კრების გადაწყვეტილებით) განხილვა-დამტკიცება. რიგგარეშე კრება შეიძლება გაიმართოს საჭიროების მიხედვით ნებისმიერ დროს.

4.11. პარტნიორთა კრების მოწვევა შეუძლია დირექტორს, უნივერსიტეტის რექტორს ან ნებისმიერ პარტნიორს ყველა პარტნიორისათვის კრების გამართვის დღემდე, სულ ცოტა, ერთი კვირით ადრე შეტყობინების დაგზავნის გზით დაზღვეული წერილით ან სხვა ისეთი საშუალებით, რომელიც ადრესატის მიერ შეტყობინების მიღების დადასტურების საშუალებას იძლევა. წერილობითი შეტყობინებით პარტნიორებს ეგზავნება ინფორმაცია კრების გამართვის ზუსტი დროისა და ადგილის შესახებ, კრების დღის წესრიგის პროექტი და რეკომენდაციები დღის წესრიგის ყოველ საკითხზე გადაწვეტილების მისაღებად. დღის წესრიგის პროექტი და რეკომენდაციები დგება კრების მომწვევის მიერ. კრებამ უნდა გადაწყვიტოს რიგგარეშე კრების მოწვევასთან დაკავშირებული ხარჯების ანაზღაურების საკითხი.

4.12. ყოველ პარტნიორს უფლება აქვს, წერილობითი შეტყობინების მიღებიდან სამ დღეში შეიტანოს დღის წესრიგში დამატებითი საკითხები და წერილობითვე აცნობოს ამის შესახებ კრების

მომწვევს კრების გამართვის დღემდე. ამ პირობის შესრულებისას დღის წესრიგის დამატებითი საკითხი ექვემდებარება აუცილებელ განხილვას.

4.13. პარტნიორთა კრებას არ შეუძლია მიიღოს გადაწყვეტილება საკითხზე, რომელიც შეტანილი არაა დღის წესრიგში ან შეტანილია ამ წესდების 4.11- 4.12 პუნქტებით განსაზღვრულ პროცედურათა დარღვევით.

4.14. თუ ყველა პარტნიორი კრების გამართვის დღემდე სამი დღით ადრე წერილობით აცნობებს კრების მომწვევს, რომ ეთანხმება დღის წესრიგში დაყენებულ ყველა საკითხზე წერილობითი შეტყობინებით შეთავაზებულ გადაწყვეტილებას, კრების გამართვა საჭირო არაა და დღის წესრიგის საკითხები გადაწყეტილად ითვლება წერილობითი შეტყობინებით შეთავაზებული ვარიანტით.

4.15. პარტნიორთა კრება კრების მონაწილე პარტნიორთაგან ირჩევს კრების თავმჯდომარეს, რომელიც წარმართავს კრების მუშაობას დღის წესრიგის შესაბამისად, ადგენს კრების ოქმს და ამოწმებს მას თავისი ხელმოწერით.

4.16. ყოველ პარტნიორს უფლება აქვს, მიმართოს სასამართლოს კრების იმ გადაწყვეტილების ბათილად ცნობის თაობაზე, რომელიც მიღებულია კანონმდებლობის ან წესდების დარღვევით და იმ პირობით, რომ ეს გადაწყვეტილება მიღებულ იქნა მომჩივანი პარტნიორის დაუსწრებლად, იგი განგებ იქნა შეყვანილი შეცდომაში გადაწყვეტილების არსთან დაკავშირებით ან გადაწყვეტილების მიღებისას იგი უმცირესობაში დარჩა. კრების გადაწყვეტილების გასაჩივრება, თუ კრება მოწვეული იყო ამ წესდების პირობების დაცვით, დასაშვებია კრების ოქმის შედგენის დღიდან ორი თვის ვადაში.

4.17. პარტნიორთა კრებების ოქმების წიგნი ინახება საზოგადოების დირექტორთან. დირექტორი ვალდებულია, მოთხოვნისთანავე წარუდგინოს გასაცნობად ეს წიგნი ნებისმიერ პარტნიორს. ყოველ პარტნიორს უფლება აქვს, მიიღოს დამოწმებული ამონაწერი ნებისმიერი კრების ოქმიდან.

4.18. საზოგადოებაში ხელმძღვანელის ფუნქციას ასრულებს დირექტორი, რომელიც ახორციელებს საზოგადოების ყოველდღიურ მართვას. დირექტორი ანგარიშვალდებულია პარტნიორთა კრების წინაშე. დირექტორად შეიძლება დაინიშნოს მხოლოდ ქმედუნარიანი ფიზიკური პირი, რომელსაც სასამართლოს მიერ არა აქვს შეზღუდული პედაგოგიური საქმიანობის უფლება. საზოგადოების დირექტორი იმავდროულად არის საზოგადოების ძირითადი სტრუქტურული ქვედანაყოფის - უნივერსიტეტის ადმინისტრაციის ხელმძღვანელი.

4.19. საზოგადოების ძირითადი სტრუქტურული ქვედანაყოფის - უნივერსიტეტის ხელმძღვანელია უნივერსიტეტის რექტორი, რომელიც ახორციელებს უნივერსიტეტის ყოველდღიურ მართვას. უნივერსიტეტის რექტორი ანგარიშვალდებულია პარტნიორთა კრების წინაშე. უნივერსიტეტის რექტორად შეიძლება დაინიშნოს მხოლოდ ქმედუნარიანი ფიზიკური პირი, რომელსაც სასამართლოს მიერ არა აქვს შეზღუდული პედაგოგიური საქმიანობის უფლება.

4.20. ერთიდაიგივე პირი არ შეიძლება, დაინიშნოს საზოგადოების დირექტორად და უნივერსიტეტის რექტორად.

4.21. დირექტორი და უნივერსიტეტის რექტორი პასუხს აგებენ თავიანთი მოვალეობის შეუსრულებლობით ან არასათანადოდ შესრულებით საზოგადოებისათვის მიყენებული ზიანისათვის, მათ შორის მაშინაც, როცა ისინი მოქმედებდნენ პარტნიორთა კრების გადაწყვეტილების შესასრულებლად. ამგვარი პასუხისმგებლობის დადგომისას დირექტორმა ან უნივერსიტეტის რექტორმა უნდა დაამტკიცოს, რომ არ დაურღვევია თავისი მოვალეობა.

4.22. საზოგადოების უარი 4.21 პუნქტით განსაზღვრული რეგრესული ანაზღაურების მოთხოვნაზე ან სხვაგვარი კომპრომისი ბათილია, თუ ანაზღაურება აუცილებელია საზოგადოების კრედიტორთა დასაკმაყოფილებლად, გარდა იმ შემთხვევისა, როცა დირექტორი ან უნივერსიტეტის რექტორი გადახდისუუნაროა ან როცა ამ საკითხზე საზოგადოება შეუთანხმდება თავის კრედიტორებს.

4.23. დირექტორს არა აქვს უფლება, საზოგადოების პარტნიორთა კრების თანხმობის გარეშე ინდივიდუალურად ეწეოდეს იგივე საქმიანობას, რასაც ეწევა საზოგადოება, იყოს ხელმძღვანელი ან ადმინისტრაციული თანამდებობის პირი სხვა ისეთ დაწესებულებაში ან პერსონალურად პასუხისმგებელი

პარტნიორი სხვა ისეთ საწარმოში, რომელიც მსგავს საქმიანობას ეწევა. თუ დირექტორად დანიშვნისას საზოგადოების პარტნიორებისათვის ცნობილი იყო, რომ დანიშნული პირი ასეთ საქმიანობას ეწეოდა და მისთვის ამ საქმიანობის შეწყვეტა არ მოუთხოვიათ, პარტნიორთა კრების თანხმობა მიცემულად ჩაითვლება.

4.24. უნივერსიტეტის რექტორს არა აქვს უფლება, საზოგადოების პარტნიორთა კრების თანხმობის გარეშე ინდივიდუალურად ეწეოდეს იგივე საქმიანობას, რასაც ეწევა საზოგადოება, იყოს ხელმძღვანელი ან ადმინისტრაციული თანამდებობის პირი სხვა ისეთ დაწესებულებაში ან პერსონალურად პასუხისმგებელი პარტნიორი სხვა ისეთ საწარმოში, რომელიც მსგავს საქმიანობას ეწევა. თუ რექტორად დანიშვნისას საზოგადოების პარტნიორებისათვის ცნობილი იყო, რომ დანიშნული პირი ასეთ საქმიანობას ეწეოდა და მისთვის ამ საქმიანობის შეწყვეტა არ მოუთხოვიათ, პარტნიორთა კრების თანხმობა მიცემულად ჩაითვლება.

4.25. თუ დირექტორის ან უნივერსიტეტის რექტორის მიერ ამ წესდების 4.23-4.24 პუნქტების მოთხოვნების დარღვევის შედეგად საზოგადოებას მიადგა ზიანი, დამრღვევი ვალდებულია, აანაზღაუროს ზიანი. ამ შემთხვევაში ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის უფლება აქვს საზოგადოების ნებისმიერ პარტნიორს.

4.26. დირექტორი წყვეტს საზოგადოების საქმიანობის ყველა საკითხს იმათ გარდა, რომლებიც პარტნიორთა კრების, უნივერსიტეტის მმართველი ორგანოებისა და უნივერსიტეტის რექტორის განსაკუთრებულ კომპეტენციაში შედის. დირექტორის მოვალეობები საზოგადოების სტრუქტურისა და ფინანსების მართვაში დაწვრილებით განისაზღვრება შრომითი ხელშეკრულებით საზოგადოებასა და დირექტორს შორის ან/და საზოგადოების შინაგანაწესით.

4.27. პარტნიორთა კრებებს შორის პერიოდში დირექტორის გადაწყვეტილებათა შესრულება, თუ იგი არ სცილდება მის კომპეტენციას ამ წესდებისა და შინაგანაწესის მიხედვით, სავალდებულოა საზოგადოების ყველა თანამშრომლისა და უნივერსიტეტის ყველა სტუდენტისათვის.

4.28. უნივერსიტეტის რექტორი წყვეტს უნივერსიტეტის საქმიანობის ყველა საკითხს იმათ გარდა, რომლებიც პარტნიორთა კრების, უნივერსიტეტის მმართველი ორგანოებისა და საზოგადოების დირექტორის (უნივერსიტეტის ადმინისტრაციის ხელმძღვანელის) განსაკუთრებულ კომპეტენციაში შედის. რექტორის მოვალეობები უნივერსიტეტის სტრუქტურის მართვაში დაწვრილებით განისაზღვრება შრომითი ხელშეკრულებით საზოგადოებასა და რექტორს შორის ან/და საზოგადოების შინაგანაწესით.

4.29. პარტნიორთა კრებებს შორის პერიოდში რექტორის გადაწყვეტილებათა შესრულება, თუ იგი არ სცილდება მის კომპეტენციას ამ წესდებისა და შინაგანაწესის მიხედვით, სავალდებულოა საზოგადოების ყველა თანამშრომლისა და უნივერსიტეტის ყველა სტუდენტისათვის.

4.30. პარტნიორთა კრებას შეუძლია, გადასცეს დირექტორს ან უნივერსიტეტის რექტორს თავის უფლებათა ნაწილი.

4.31. დირექტორი ამტკიცებს საზოგადოების საქმიანობისათვის საჭირო ყველა იმ ინსტრუქციას, რომელიც ამ წესდებითა და შინაგანაწესით არაა განსაზღვრული.

4.32. დირექტორის დროებით არყოფნისას მის მოვალეობებს ასრულებს უნივერსიტეტის რექტორი.

4.33. უნივერსიტეტის რექტორის დროებით არყოფნისას მის მოვალეობებს უნივერსიტეტის სტუდენტებთან ურთიერთობების ნაწილში ასრულებს უნივერსიტეტის ადმინისტრაციის ხელმძღვანელი (საზოგადოების დირექტორი).

4.34. ამ წესდების დამტკიცების დღეს:

- საზოგადოების დირექტორია (უნივერსიტეტის ადმინისტრაციის ხელმძღვანელია) ნინო ხაზარაძე, ეკონომიკის მეცნიერებათა დოქტორი;
- უნივერსიტეტის რექტორია ლალი ქელბაქიანი, მათემატიკის დოქტორი.

მუხლი 5. საზოგადოების წარმომადგენლობა მესამე პირებთან ურთიერთობებში

5.1. საზოგადოებას მესამე პირებთან სამართლებრივ ურთიერთობებში წარმოადგენენ: საზოგადოების დირექტორი, უნივერსიტეტის რექტორი, პროკურისტები, რწმუნებულები, სავაჭრო წარმომადგენლები და კომისიონერები. ლიკვიდაციის პროცესში საზოგადოება შეიძლება წარმოადგინოს გაკოტრების მმართველმა ან სასამართლოს მიერ ლიკვიდატორად დანიშნულმა სხვა პირმა. დირექტორთან და უნივერსიტეტის რექტორთან ურთიერთოებებში საზოგადოების წარმომადგენლობა განისაზღვრება პარტნიორთა კრების მიერ.

5.2. საზოგადოების ფილიალების წარმომადგენლობა და მათი წარმომადგენლის უფლებამოსილება მესამე პირებთან ურთიერთობებში განისაზღვრება ამ ფილიალების დებულებებით.

5.3. მესამე პირთა ნება საზოგადოების მიმართ ნამდვილად ითვლება მხოლოდ მაშინ, როცა ეს ნება გამოხატულია დირექტორის, საზოგადოების რექტორის ან შესაბამის საქმეზე საზოგადოების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი სხვა პირის მიმართ.

5.4. დირექტორი წარმოადგენს საზოგადოებას ერთპიროვნულად ნებისმიერ ურთიერთობაში (გარდა სამეცნიერო და აკადემიურ საკითხებზე ურთიერთობებისა) ნებისმიერ მესამე პირთან საზოგადოების პარტნიორებისა და თანამშრომლების ჩათვლით, გარდა უნივერსიტეტის სტუდენტებისა.

5.5. უნივერსიტეტის რექტორი წარმოადგენს საზოგადოებას ერთპიროვნულად სამეცნიერო და აკადემიურ საკითხებზე ურთიერთობებში ნებისმიერ მესამე პირთან საზოგადოების პარტნიორებისა და თანამშრომლების ჩათვლით. იგი ერთპიროვნულად წარმოადგენს საზოგადოებას ნებისმიერ ურთიერთობაში უნივერსიტეტის სტუდენტებთან.

5.6. თუ გარიგება, რომელსაც დირექტორი დებს მესამე პირთან, შეეხება აკადემიურ ან/და სამეცნიერო საკითხებს, მის დასადებად აუცილებელია უნივერსიტეტის რექტორის თანხმობა. თუ გარიგება, რომელსაც დებს უნივერსიტეტის რექტორი (გარდა უნივერსიტეტის სტუდენტებთან, მათი სტატუსიდან გამომდინარე ურთიერთობებთან დაკავშირებულისა), წარმოშობს საზოგადოების ფინანსურ ან/და ქონებრივ ვალდებულებებს, მის დასადებად აუცილებელია საზოგადოების დირექტორის თანხმობა.

5.7. დირექტორისა და უნივერსიტეტის რექტორის წარმომადგენლობითი უფლებამოსილების ყოველგვარი შეზღუდვა, განსხვავებული ამ წესდების 5.6 პუნქტისაგან, ბათილია.

5.8. დირექტორს, პარტნიორთა კრების თანხმობით, შეუძლია, კერძო სამართლის ნებისმიერ იურიდიულ პირს ან ფიზიკურ პირს მისცეს გენერალური სავაჭრო მინდობილობა – პროკურა. ასეთი მინდობილობა ექვემდებარება მეწარმეთა და არასამეწარმეო იურიდიულ პირთა რეესტრში რეგისტრაციას და ძალაშია მხოლოდ ასეთი რეგისტრაციის დღიდან.

5.9. გენერალური სავაჭრო მინდობილობის მქონე პირი – პროკურისტი, საზოგადოებას წარმოადგენს ერთპიროვნულად ნებისმიერ ურთიერთობებში, რომლებშიც საზოგადოება შეიძლება წარმოადგინოს დირექტორმა ამ წესდების 5.4 და 5.6 პუნქტების მიხედვით, გარდა საზოგადოების მიწის ნაკვეთების გასხვისების ან ვალდებულებებით მათი დატვირთვის (სერვიტუტი, უზუფრუქტი, აღნაგობა, იპოთეკა, გირავნობა, იჯარა და ა.შ) ურთიერთობებისა (ამ ურთიერთობებში საზოგადოების წარმომადგენლობაზე პროკურისტი უფლებამოსილია, თუ ეს სპეციალურადაა აღნიშნული პროკურაში) და ურთიერთობებისა საზოგადოების დირექტორსა და თანამშრომლებს ან პარტნიორებს შორის, რომლებიც ამ წესდებით ან საზოგადოების შინაგანაწესით რეგულირდება.

5.10. პროკურის მოცულობის ყოველგვარი შეზღუდვა, გარდა ამ წესდების 5.9 პუნქტით განსაზღვრულისა, ბათილია მესამე პირთათვის.

5.11. პროკურისტის პასუხისმგებლობა საზოგადოების მიმართ ისეთივეა, როგორიც დირექტორისა.

5.12. დირექტორსა და უნივერსიტეტის რექტორს ცალ-ცალკე შეუძლიათ, მისცენ ამა თუ იმ პირს ან რამოდენიმე პირს (რწმუნებულებს) ერთდროულად მინდობილობა საზოგადოების წარმომადგენლობით უფლებამოსილებაზე ამა თუ იმ იურიდიულ მოქმედებათა განსახორციელებლად მხოლოდ მინდობილობის შინაარსის შესაბამისად.

5.13. პროკურისტები და რწმუნებულები ვალდებული არიან, დოკუმენტებზე საზოგადოების სახელით ხელმოწერისას საზოგადოების საფირმო სახელწოდებას დაურთონ თავიანთი სახელი და გვარი და პროკურის ან მინდობილობის აღმნიშვნელი დამატება.

5.14. დირექტორის მიერ პროკურის ან მინდობილობის გაცემისას საზოგადოებას, დირექტორის სახით, შეუძლია დადოს წერილობითი ხელშეკრულება პროკურისტთან ან რწმუნებულთან, რომელიც დაწვრილებით აწესრიგებს ურთიერთობებს საზოგადოებასა და პროკურისტს ან რწმუნებულს შორის პროკურის ან მინდობილობის მოქმედების პერიოდში. ასეთი ხელშეკრულება არ არის პროკურის ან მინდობილობის შემცვლელი დოკუმენტი ან მათი შემადგენელი ნაწილი. ამ წესით მინდობილობის გაცემა შეუძლია აგრეთვე უნივერსიტეტის რექტორს.

5.15. პროკურის ან სავაჭრო მინდობილობის გაცემა არ ზღუდავს დირექტორისა და უნივერსიტეტის რექტორის წარმომადგენლობით უფლებამოსილებებს.

5.16. მინდობილობა ან პროკურა უქმდება შესაბამის დოკუმენტში მითითებული ვადის გასვლით. ამ ვადის გასვლამდე მინდობილობა ან პროკურა ნებისმიერ დროს შეიძლება გაწყდეს გამცემი პირის მიერ მისი გაუქმებით (5.14 პუნქტით გათვალისწინებული ხელშეკრულების პირობათა დაცვით, თუ იგი არსებობს) ან ძალადაკარგულად აღიარებით. ძალადაკარგულად აღიარება გულისხმობს შესაბამისი განცხადების გამოქვეყნებას საერთო-სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის ბეჭდვით ორგანოში. პროკურის გაუქმება ან გაწყვეტა შეტანილ უნდა იქნას საზოგადოების სამეწარმეო რეესტრში.

5.17. მესამე პირებთან საქონლის, უფლებებისა და მომსახურების რეალიზაციის ურთიერთობებში საზოგადოება შეიძლება წარმოადგინონ:

ა) სავაჭრო წარმომადგენლებმა – პირებმა, რომლებიც არ არიან დასაქმებული საზოგადოებაში, მაგრამ უფლებამოსილი არიან, მისი სახელით და ხარჯით დადონ გარიგება;

ბ) კომისიონერებმა – მეწარმე ფიზიკურმა პირებმა ან სამეწარმეო იურიდიულმა პირებმა, რომლებიც უფლებამოსილი არიან საკუთარი სახელითა და საზოგადოების ხარჯით დადონ გარიგება;

გ) საზოგადოების თანამშრომლებმა, რომელთათვისაც ამგვარ ურთიერთობათა წარმოება ჩვეულებრივ მოვალეობას წარმოადგენს.

5.18. სავაჭრო წარმომადგენლებისა და კომისიონერების წარმომადგენლობითი უფლებამოსილება განისაზღვრება ხელშეკრულებით საზოგადოებასა (დირექტორის სახით) და სავაჭრო წარმომადგენლებს ან კომისიონერებს შორის. საზოგადოების თანამშრომლის წარმომადგენლობითი უფლებამოსილება განისაზღვრება შრომითი ხელშეკრულებით.

5.19. ლიკვიდაციის პერიოდში გაკოტრების მმართველის წარმომადგენლობითი უფლებამოსილება განისაზღვრება საქართველოს კანონით „გადახდისუუნარობის საქმის წარმოების შესახებ“, ხოლო სხვა ლიკვიდატორების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილება - ამ წესდების მე-9 მუხლით.

5.20. ყოველგვარი დავა საზოგადოებასა და მის წარმომადგენლობაზე უფლებამოსილ პირებს შორის ამ წესდებით განსაზღვრული ურთიერთობების ფარგლებში განიხილება საერთო სასამართლოს ან, მხარეთა ურთიერთშეთანხმებით, რომელიმე არბიტრაჟის მიერ.

მუხლი 6. საზოგადოების სამეურნეო საქმიანობა და ორგანიზაციული სტრუქტურა

6.1. საზოგადოების საქმიანობის ძირითადი საგანია:

- ბაკალავრის, მაგისტრისა და დოქტორის აკადემიური ხარისხის მქონე სპეციალისტთა მომზადება;
- სამეცნიერო კვლევები;
- სპეციალისტთა პროფესიული ცოდნის სრულყოფა და კვალიფიკაციის ამაღლება, მათ შორის „უწყვეტი სწავლების“ რეჟიმით;
- უცხო ენების სწავლება;
- საინფორმაციო ტექნოლოგიების სწავლება;
- საგამომცემლო საქმიანობა.

6.2. აკადემიური ხარისხის მქონე სპეციალისტთა მომზადების მიზნით საზოგადოება ახორციელებს ბაკალავრიატის, მაგისტრატურისა და დოქტორანტურის აკადემიურ უმაღლეს საგანმანათლებლო პროგრამებს „უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონით დადგენილი წესებით მხოლოდ მაშინ, როცა იგი რეგისტრირებულია უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებათა რეესტრში ავტორიზაციის საფუძველზე. ამ პერიოდში დოქტორანტურის აკადემიური უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამებით სწავლებას საზოგადოება ახორციელებს მხოლოდ „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად აკრედიტებული საგანმანათლებლო პროგრამებით. სპეციალისტთა პროფესიული ცოდნის სრულყოფისა და კვალიფიკაციის ამაღლების, დაინტერესებულ პირთათვის უცხო ენათა და საინფორმაციო ტექნოლოგიების სწავლების მიზნით საზოგადოება ახორციელებს საგანმანათლებლო პროგრამებს (სასერტიფიკატო პროგრამებს) მსმენელთათვის კვალიფიკაციის ან/და აკადემიური ხარისხის მინიჭების გარეშე.

6.3. საზოგადოებას შეუძლია, განახორციელოს ნებისმიერი სხვა სამეურნეო საქმიანობაც, თუკი ეს არაა აკრძალული მოქმედი კანონმდებლობით.

6.4. თუ ამა თუ იმ საქმიანობისათვის მოქმედი კანონმდებლობით საჭიროა სახელმწიფოს განსაკუთრებული ნებართვა ან ლიცენზია, ამ საქმიანობის განხორციელებას საზოგადოება იწყებს მხოლოდ სახელმწიფო მმართველობის ან ადგილობრივი თვითმმართველობის შესაბამისი ორგანოსაგან შესაბამისი ნებართვის ან ლიცენზიის მიღების შემდეგ.

6.5. თავისი საქმიანობის განსახორციელებლად საზოგადოება:

- განსაზღვრავს სასწავლო და სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის ძირითად მიმართულებებს;
- შეიმუშავებს ხვადასხვა სახის საგანმანათლებლო პროგრამებს და ახდენს მათ რეალიზებას;
- საბაკალავრო, სამაგისტრო და სადოქტორო აკადემიური უმაღლესი განათლების საგანმანათლებლო პროგრამების კურსდამთავრებულებს ანიჭებს შესაბამის აკადემიურ ხარისხებსა და კვლიფიკაციას;
- ეწევა აკადემიური პერსონალის, მასწავლებლებისა და სტუდენტების საინფორმაციო და საკონსულტაციო მომსახურებას;
- ორგანიზებას უწევს სასწავლო და მეთოდურ კურსებსა და სემინარებს აკადემიური პერსონალისა და მასწავლებლებისათვის, მონაწილეობს მესამე პირთა მიერ ორგანიზებულ მსგავს ღონისძიებებში;
- ორგანიზებას უწევს და ახორციელებს კურსებსა და ტრენინგებს სხვადასხვა დარგის სპეციალისტთა პროფესიული კვალიფიკაციის ამაღლებისა და პროფესიული გადამზადების მიზნით;
- ახორციელებს სამეცნიერო-კვლევით სამუშაოებს;
- გამოსცემს სამეცნიერო ჟურნალებს, სამეცნიერო ნაშრომთა კრებულებს, სახელმძღვანელოებსა და სამეცნიერო ხასიათის წიგნებს;
- უზრუნველყოფს წარჩინებულ სტუდენტთა და დოქტორანტთა მონაწილეობას საერთაშორისო კონფერენციებსა და სემინარებში, მათ სტაჟირებას საქართველოსა და უცხოეთის ორგანიზაცია-დაწესებულებებში;
- სწავლისა და და სწავლების ხარისხის გაუმჯობესების მიზნით ამყარებს კავშირებს საქართველოსა და უცხოეთის უნივერსიტეტებთან, სასწავლო-სამეცნიერო ცენტრებთან, ეროვნულ და საერთაშორისო პროფესიულ ასოციაციებთან;
- ახორციელებს ღონისძიებებს სტუდენტთა თავისუფალი დროის ორგანიზებისათვის - ხელს უწყობს სტუდენტთა პროფესიული, სასპორტო და შემოქმედებითი კლუბების საქმიანობას;
- აწყობს და მონაწილეობს კონფერენციებში, გამოფენებსა და კონკურსებში;
- აწარმოებს თავისი ქონების რეკონსტრუქცია-გაფართოებასა და კაპიტალურ შეკეთებას;
- შეიძენს საჭირო მატერიალურ-ტექნიკურ რესურსებს იურიდიული და ფიზიკური პირებისაგან;
- მონაწილეობს სხვა საწარმოებში, როგორც პარტნიორი ან აქციონერი;

- იღებს დოტაციებს განვითარებისა და სოციალური ამოცანების გადასაწყვეტად, აგრეთვე – კრედიტებსა და ავანსებს საბანკო დაწესებულებებისაგან თავისი საქმიანობის გასაუმჯობესებლად;
- აწარმოებს ზედმეტი და გამოუყენებელი მოწყობილობის, სხვა სასაქონლო-მატერიალური ფასეულობების რეალიზაციას.

6.6. საზოგადოების ორგანიზაციული სტრუქტურა მოიცავს ძირითად სტრუქტურულ ქვედანაყოფს - უნივერსიტეტს და სხვა სტრუქტურულ ქვედანაყოფებს. უნივერსიტეტი და სხვა სტრუქტურული ქვედანაყოფები არაა იურიდიული პირები. როცა ამა თუ იმ ორგანიზაციულად განცალკევებული სტრუქტურული ქვედანაყოფის ადგილსამყოფლის მისამართი განსხვავდება საზოგადოების ადგილსამყოფლის მისამართისაგან, ეს ქვედანაყოფი შეიძლება, ჩამოყალიბდეს საზოგადოების ფილიალის სახით.

6.7. ძირითადი და სხვა სტრუქტურული ქვედანაყოფების (გარდა ფილიალებისა), მათ შორის უნივერსიტეტისა და მისი სტრუქტურული ერთეულების დაარსება და ლიკვიდაცია ხორციელდება პარტნიორთა კრების მიერ ამ წესდებასა და შინაგანაწესში შესაბამის ცვლილებათა შეტანის გზით.

6.8. საზოგადოების სტრუქტურული ქვედანაყოფებია:

ა) უნივერსიტეტი - ძირითადი სტრუქტურული ქვედანაყოფი,

ბ) კანცელარია,

გ) ადამიანური რესურსების სამსახური,

დ) საფინანსო სამსახური,

ე) სამეურნეო სამსახური,

ვ) საინფორმაციო და კომპიუტერული ტექნოლოგიებით უზრუნველყოფის სამსახური,

ზ) საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახური.

6.9. ძირითადი სტრუქტურული ქვედანაყოფის - უნივერსიტეტის სტრუქტურული ერთეულებია:

ა) საზოგადოებრივ მეცნიერებათა ფაკულტეტი - ძირითადი საგანმანათლებლო ერთეული,

ბ) სასწავლო პროცესის მონიტორინგის სამსახური,

გ) ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური,

დ) საგარეო ურთიერთობათა სამსახური,

ე) კარიერის ხელშეწყობის სამსახური,

ვ) უწყვეტი სწავლების ცენტრი,

ზ) ბიბლიოთეკა.

6.10. უნივერსიტეტისა და მისი სტრუქტურული ერთეულების და საზოგადოების სხვა სტრუქტურული ქვედანაყოფების (გარდა ფილიალებისა) ფუნქციები, მართვისა და საქმიანობის წესები რეგლამენტირებულია საზოგადოების შინაგანაწესით.

6.11. ფილიალების დაარსება და ლიკვიდაცია ხორციელდება საზოგადოების პარტნიორთა კრების გადაწყვეტილებით.

6.12. ფილიალების ფუნქციები, მართვისა და საქმიანობის წესები განისაზღვრება მათი დებულებებით, რომლებსაც ამტკიცებს საზოგადოების პარტნიორთა კრება.

6.13. დაუშვებელია საზოგადოებასა და მის სტრუქტურულ ქვედანაყოფებში პოლიტიკური და რელიგიური გაერთიანებების სტრუქტურული ერთეულების დაარსება და საქმიანობა.

6.14. პროფესიული კავშირების ორგანიზაციების შექმნა და მოქმედება საზოგადოებაში რეგულირდება კანონით „პროფესიული კავშირების შესახებ“. ადმინისტრაციას უფლება არა აქვს, საზოგადოებაში პრივილეგიები დააწესოს ამა თუ იმ პროფესიული კავშირის ორგანიზაციისა და მისი წევრებისათვის.

6.15. საზოგადოება ვალდებულია:

ა) შეასრულოს სახელშეკრულებო, საკრედიტო, საანგარიშსწორებო, საგადასახადო და სხვა ვალდებულებები, რომლებიც გამომდინარეობს მოქმედი კანონმდებლობიდან და მის მიერ დადებული ხელშეკრულებებიდან;

ბ) უზრუნველყოს მიწის, წყლის და სხვა ბუნებრივი რესურსების დაცვა, აღდგენა და რაციონალურად გამოყენება, დააწესოს კონტროლი თავისი საქმიანობის სფეროში ეკოლოგიური პირობების დაცვაზე;

გ) აანაზღაუროს მიწის, წყლის, სხვა ბუნებრივი რესურსების არარაციონალური გამოყენებით, გარემოს დაბინძურებით, შრომის უსაფრთხოების წესების და სანიტარიულ-ჰიგიენური ნორმების დარღვევით გამოწვეული ზიანი, გადაიხადოს დაწესებული ჯარიმები;

დ) დაიცვას ამ წესდებისა და მოქმედი კანონმდებლობის ყველა ნორმა.

6.16. საზოგადოება დამოუკიდებლად განსაზღვრავს თავისი საქმიანობის მიმართულებებს და განვითარების პერსპექტივებს, განკარგავს თავის პროდუქციასა და შემოსავალს.

6.17. საზოგადოება საკუთარი პროდუქციის ან იმპორტით მიღებული ფასეულობების, შესრულებული სამუშაოების, გაწეული მომსახურების, მატერიალურ-ტექნიკური რესურსების და წარმოების ნარჩენების რეალიზაციას ახდენს დამოუკიდებლად დადგენილი ფასებით, გარდა კანონმდებლობით გათვალისწინებულ შემთხვევებისა, როცა საქონლის, მომსახურების ან სამუშაოების ღირებულება რეგულირდება შესაბამისი ტარიფებით.

6.18. სამეურნეო საქმიანობის პროცესში წარმოშობილი დავა საზოგადოებასთან საქმიან ურთიერთობებში მყოფ იურიდიულ და ფიზიკურ პირებთან განიხილება სასამართლოს ან, მხარეთა შეთანხმებით, არბიტრაჟის მიერ მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

მუხლი 7. საზოგადოების თანამშრომლები, მათი უფლება-მოვალეობები

7.1. საზოგადოების თანამშრომელი შეიძლება იყოს ქმედუნარიანი სრულწლოვანი ან 16 წლის ასაკს მიღწეული არასრულწლოვანი ფიზიკური პირი, რომელსაც უნარი შესწევს, თავისი შრომით (შესაბამისი სპეციალობითა და კვალიფიკაციით) მონაწილეობა მიიღოს საზოგადოების სამეურნეო საქმიანობის განხორციელებაში.

7.2. შრომითი ურთიერთობები თანამშრომლებსა და საზოგადოებას შორის ემყარება შრომით ხელშეკრულებას საზოგადოებასა და საზოგადოების თანამშრომელს შორის, რომელიც არეგულირებს ამ ურთიერთობებს ამ წესდებისა და საზოგადოების შინაგანაწესის საფუძველზე.

7.3. შინაგანაწესი განსაზღვრავს საზოგადოების თანამშრომელთა იმ ზოგად უფლება-მოვალეობებს, რომლებიც ამ წესდებით არაა რეგლამენტირებული.

7.4. საზოგადოების თანამშრომლები იყოფა 4 კატეგორიად:

ა) ადმინისტრაციული პერსონალი: საზოგადოების დირექტორი (უნივერსიტეტის ადმინისტრაციის ხელმძღვანელი), უნივერსიტეტის რექტორი, უნივერსიტეტის სტრუქტურული ერთეულების ხელმძღვანელები, საზოგადოების სხვა სტრუქტურული ქვედანაყოფების ხელმძღვანელები;

ბ) აკადემიური პერსონალი: პროფესორები, ასოცირებული პროფესორები, ასისტენტ-პროფესორები, ასისტენტები;

გ) მასწავლებელთა პერსონალი: უფროსი მასწავლებლები, მასწავლებლები;

დ) დამხმარე პერსონალი: თანამშრომლები, რომლებიც არ მიეკუთვნებიან ამ პუნქტის „ა“ – „გ“ ქვეპუნქტებით განსაზღვრულ კატეგორიებს.

7.5. აკადემიური პერსონალის თანამშრომლების სამუშაოდ მიღების წესები განსაზღვრულია ამ წესდებით. დანარჩენი კატეგორიების თანამშრომელთა სამუშაოდ მიღების წესები რეგლამენტირებულია შინაგანაწესით.

7.6. პროფესორის თანამდებობა შეიძლება დაიკავოს პირმა, რომელსაც აქვს დოქტორის (მასთან გათანაბრებული) აკადემიური ხარისხი და სამეცნიერო-პედაგოგიური მუშაობის არანაკლებ 6 წლის გამოცდილება.

7.7. ასოცირებული პროფესორის თანამდებობა შეიძლება დაიკავოს სამეცნიერო-პედაგოგიური მუშაობის არანაკლებ 3 წლის გამოცდილების მქონე პირმა, რომელსაც აქვს:

ა) დოქტორის (მასთან გათანაბრებული) აკადემიური ხარისხი;

ბ) მაგისტრის (მასთან გათანაბრებული) აკადემიური ხარისხი და შესაბამის სფეროში მნიშვნელოვანი გადაწყვეტილებების მიმღებ თანამდებობებზე მუშაობის არანაკლებ 3 წლის გამოცდილება ან ბოლო 10 წლის განმავლობაში გამოქვეყნებული აქვს არანაკლებ 2 ისეთი პუბლიკაცია რეფერირებად სამეცნიერო ან სამეცნიერო-პრაქტიკულ ჟურნალში, რომელიც შეეხება მოცემული სფეროს აქტუალურ პრობლემებს.

7.8. ასისტენტ-პროფესორის თანამდებობა შეიძლება დაიკავოს პირმა, რომელსაც აქვს:

ა) დოქტორის (მასთან გათანაბრებული) აკადემიური ხარისხი;

ბ) მაგისტრის (მასთან გათანაბრებული) აკადემიური ხარისხი და შესაბამის სფეროში მნიშვნელოვანი გასაწყვეტილებების მიმღებ თანამდებობებზე მუშაობის არანაკლებ 1 წლის გამოცდილება ან ბოლო 10 წლის განმავლობაში გამოქვეყნებული აქვს არანაკლებ 1 ისეთი პუბლიკაცია რეფერირებად სამეცნიერო ან სამეცნიერო-პრაქტიკულ ჟურნალში, რომელიც შეეხება მოცემული სფეროს აქტუალურ პრობლემებს.

7.9. ასისტენტის თანამდებობა შეიძლება დაიკავოს დოქტორანტმა.

7.10. აკადემიური პერსონალი სამუშაოდ მიიღება მხოლოდ კონკურსის საფუძველზე შემდეგი წესით:

ა) თანამდებობაზე დასანიშნ პირთათვის წასაყენებელ საკვალიფიკაციო მოთხოვებს და წარმოსადგენი საბუთების/მასალების ნუსხას ადგენს უნივერსიტეტის რექტორი და დასამტკიცებლად წარუდგენს უნივერსიტეტის წარმომადგენლობით ორგანოს - აკადემიურ საბჭოს.

ბ) აკადემიური საბჭოს მიერ საკვალიფიკაციო მონაცემებისა და წარმოსადგენი საბუთების/მასალების ნუსხის დამტკიცებიდან 1 კვირის ვადაში ადამიანური რესურსების სამსახური ადგენს ბრძანებების პროექტებს კონკურსის გამოცხადებისა და საკონკურსო კომისიის დანიშვნის თაობაზე. საკონკურსო კომისიის თავმჯდომარედ და წევრებად ინიშნებიან უნივერსიტეტის რექტორის მიერ შერჩეული პირები. კომისიაში უნდა შედიოდეს, სულ ცოტა, 5 ადამიანი.

გ) ადამიანური რესურსების სამსახური ბრძანებების პროექტებს ათანხმებს უნივერსიტეტის რექტორთან.

დ) ბრძანებების პროექტების შეთანხმებიდან 1 კვირის ვადაში უნივერსიტეტის ადმინისტრაციის ხელმძღვანელი (საზოგადოების დირექტორი) გამოსცემს ბრძანებებს კონკურსის გამოცხადებისა და საკონკურსო კომისიის თავმჯდომარისა და წევრების დანიშვნის თაობაზე. ბრძანება კონკურსის გამოცხადების თაობაზე უნდა შეიცავდეს კონკურსანტთადმი წაყენებული საკვალიფიკაციო მოთხოვნების ზუსტ ჩამონათვალს, წარმოსადგენი საბუთების/მასალების ზუსტ ნუსხას, მათი წარმოდგენის ფორმას, მისამართსა და ვადას, კონკურსის პროცედურებსა და ვადებს, კონკურსის (მისი ცალკეული ეტაპების) შედეგების კონკურსანტისათვის შეტყობინების ფორმასა და ვადებს, საკონკურსო კომისიის გადაწყვეტილებათა გასაჩივრების ვადებსა და წესებს.

ე) კონკურსის გამოცხადების შესახებ უნივერსიტეტის ადმინისტრაციის ხელმძღვანელის (საზოგადოების დირექტორის) ბრძანების გამოცემიდან 2 სამუშაო დღის ვადაში საინფორმაციო და კომპიუტერული ტექნოლოგიებით უზრუნველყოფის სამსახური პროაქტიურად აქვეყნებს შესაბამის განცხადებას ვაკანსიების საძიებელ იმ პორტალებზე, რომლებიც მითითებულია კონკურსის გამოცხადების შესახებ უნივერსიტეტის ადმინისტრაციის ხელმძღვანელის (საზოგადოების დირექტორის) ბრძანებაში და უნივერსიტეტის ვებ-გვერდზე. ბრძანებაში მითითებული პორტალებიდან ერთ-ერთი, ქართულენოვანი, არის ძირითადი. უნივერსიტეტის ვებ-გვერდზე განცხადება უნდა გამოქვეყნდეს ძირითად პორტალზე

გამოქვეყნების დღეს. იმავე დღეს კანცელარიამ კონკურსის გამოცხადების შესახებ უნივერსიტეტის ადმინისტრაციის ხელმძღვანელის (საზოგადოების დირექტორის) ბრძანების დამოწმებული ქსეროასლი უნდა განათავსოს საინფორმაციო დაფაზე უნივერსიტეტის შენობაში.

ვ) კონკურსანტთა საბუთების მიღება არ უნდა დაიწყოს 1 თვეზე ადრე საკონკურსო განცხადების პროაქტიური გამოქვეყნების დღიდან და მათი წარდგენის ვადა არ უნდა იყოს 1 კვირაზე ნაკლები საბუთების/მასალების მიღების დაწყების დღიდან.

ზ) საბუთები/მასალები, თუ მათი წარმოდგენა გათვალისწინებულია მატერიალური სახით, კონკურსანტმა უნდა წარუდგინოს კანცელარიას უშუალოდ ან საფოსტო გზავნილით. დედნებთან ერთად წარმოდგენილ უნდა იქნას ყველა საბუთის თითო ქსეროასლი და 1 CD დისკი, რომელზეც ჩაწერილი უნდა იყოს ყველა წარმოდგენილი საბუთის ელექტრონული ასლი .pdf ფორმატში. კანცელარია, თუ საბუთები/მასალები წარმოდგენილია მატერიალური სახით, დაუყოვნებლივ ამოწმებს თითოეული საბუთის ნამდვილობას და დედნებს (გარდა განცხადების, პროფესიული ბიოგრაფიის და ფოტოსურათებისა) უბრუნებს კონკურსანტს, თუ საბუთები/მასალები წარმოდგენილია უშუალოდ მის მიერ. თუ საბუთები/მასალები მიღებულია საფოსტო გზავნილით, დედნები ინახება კანცელარიაში მოკითხვამდე. მიღებული განცხადების დამოწმებულ ასლსა და სხვა საბუთების ელექტრონულ ასლებს კანცელარია დაუყოვნებლივ გადასცემს ადამიანური რესურსების სამსახურს.

თ) ადამიანური რესურსების სამსახურის უფროსი აწარმოებს კონკურსანტთა და მათ მიერ წარმოდგენილი მასალების რეესტრს. რეესტრსა და მიღებულ მასალებს იგი ამრავლებს ისე, რომ თითო პირი შეხვდეს კომისიის ყველა წევრს. კონკურსანტთა საბუთების წარდგენის ვადის ამოწურვის მომდევნო სამუშაო დღეს ადამიანური რესურსების სამსახურის უფროსი კონკურსანტთა და მათ მიერ წარმოდგენილი საბუთების/მასალების რეესტრის ქსეროასლებს გადასცემს საკონკურსო კომისიის ყველა წევრს. თუ განცხადებით გათვალისწინებული იყო საბუთების/მასალების წარმოდგენა მატერიალური სახით, კომისიის წევრებს რეესტრთან ერთად გადაეცემათ წარმოდგენილი საბუთების/მასალების ასლები. რეესტრთან ერთად ადამიანური რესურსების სამსახურის უფროსი კომისიის წევრებს გადასცემს თავის დასკვნას წარმოდგენილი საბუთების/მასალების ნამდვილობაზე, მათი ჩამონათვალისა და პრეტენდენტის კვალიფიკაციისა და სამუშაო გამოცდილების შესაბამისობაზე დადგენილ საკვალიფიკაციო მოთხოვნებთან.

ი) საკონკურსო კომისია გადაწყვეტილებებს იღებს სხდომებზე ღია კენჭისყრით. სხდომებს იწვევს კომისიის თავმჯდომარე სხდომის გამართვამდე, სულ ცოტა, 2 სამუშაო დღით ადრე კომისიის ყველა წევრის სატელეფონო ან SMS შეტყობინებით გაფრთხილების გზით. სხდომა უფლებამოსილია, მიიღოს გადაწყვეტილება, თუ ესწრება კომისიის თავმჯდომარე და კომისიის სხვა წევრთა ნახევარი ან მეტი. გადაწყვეტილების მისაღებად საჭიროა კომისიის დამსწრე წევრთა ხმების უმრავლესობა. თუ მომხრეთა და მოწინააღმდეგეთა ხმების რაოდენობა თანაბარია, გადამწყვეტია კომისიის თავმჯდომარის ხმა.

კ) საკონკურსო კომისიის მუშაობას ორგანიზაციულად უზრუნველყოფს ადამიანური რესურსების სამსახური. ადამიანური რესურსების სამსახურის ხელმძღვანელი ან, მისი დავალებით, ადამიანური რესურსების სამსახურის სხვა თანამშრომელი, ვალდებულია, დაესწროს საკონკურსო კომისიის ყველა სხდომას, აწარმოოს და შეინახოს სხდომების ოქმები. სხდომის ოქმი დგება სხდომის გამართვის დღესვე. კომისიის ყველა წევრი, რომელიც ესწრებოდა სხდომას, ვალდებულია, ხელი მოაწეროს სხდომის ოქმს მისი შედგენისთანავე. კომისიის წევრი, რომელიც კენჭისყრისას უმცირესობაში დარჩა, უფლებამოსილია, ოქმს წერილობთ დაურთოს თავისი მოსაზრებები. ასეთი დანართი ოქმის შემადგენელი ნაწილია.

ლ) კონკურსანტთა და წარმოდგენილი საბუთების რეესტრის მიღებიდან ერთი კვირის ვადაში კომისია იღებს გადაწყვეტილებას იმ კონკურსანტთა დისკვალიფიკაციის შესახებ, რომელთა კვალიფიკაცია ან/და წარმოდგენილი საბუთები/მასალები არ აკმაყოფილებს საკონკურსო განცხადების მოთხოვნებს და ამის გათვალისწინებით ადგენს და ამტკიცებს კონკურსანტთა საბოლოო რეესტრს.

მ) კონკურსის პირველ ეტაპზე, კონკურსანტთა საბოლოო რეესტრის დამტკიცებიდან ერთი კვირის ვადაში, კომისიის თითოეული წევრი დამოუკიდებლად აფასებს თითოეული კონკურსანტის

კვალიფიკაციას წარმოდგენილი საბუთების მიხედვით, ავსებს და კომისიის თავმჯდომარეს გადასცემს კონკურსანტთა შეფასების უწყისს. კვალიფიკაციის შეფასების კრიტერიუმებია:

მ.ა) აკადემიური ხარისხი - ფასდება ქულებით: დოქტორის - 3 ქულით, დოქტორანტის - 2 ქულით, მაგისტრის - 1 ქულით.

მ.ბ) შესაბამის სფეროში მნიშვნელოვანი გადაწყვეტილებების მიმღებ თანამდებობებზე (თანამდებობები კონკრეტდება კონკურსის პირობებით) მუშაობის გამოცდილება - ფასდება გამოცდილების ხანგრძლივობა წლებში, ათეულებამდე დამრგვალებით. ერთი წლის გამოცდილება ფასდება ერთი ქულით.

მ.გ) ავტორიზებულ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში ადმინისტრაციულ თანამდებობაზე მუშაობის გამოცდილება ბოლო 5 წლის განმავლობაში - ფასდება გამოცდილების ხანგრძლივობა წლებში, ათეულებამდე დამრგვალებით. ერთი წლის გამოცდილება ფასდება ერთი ქულით.

მ.დ) პედაგოგიური საქმიანობის გამოცდილება - ფასდება გამოცდილების ხანგრძლივობა წლებში, ათეულებამდე დამრგვალებით. ერთი წლის გამოცდილება ფასდება ერთი ქულით.

მ.ე) კვალიფიკაციის ამაღლება სპეციალობით ან პედაგოგიური საქმიანობის მიმართულებით - კვალიფიკაციის ამაღლების დამადასტურებელი თითოეული სერტიფიკატი (დიპლომი) ფასდება 1 ქულით. ქულები იკრიბება.

მ.ვ) სამაგისტრო და სადოქტორო ნაშრომების ხელმძღვანელობა - სამაგისტრო ნაშრომის ხელმძღვანელობის ყოველ ფაქტი ფასდება 0,1 ქულით, სადოქტორო ნაშრომის ხელმძღვანელობის ყოველი ფაქტი - 3 ქულით. ქულები იკრიბება.

მ.ზ) დასრულებული სამეცნიერო-კვლევითი პროექტები ბოლო ხუთი წლის მანძილზე - ყოველი პროექტი ფასდება 5 ქულით. ქულები იკრიბება.

მ.თ) ბოლო 10 წლის განმავლობაში გამოქვეყნებულისამეცნიერო-კვლევითი სტატიები, თემატურად ახლოს მდგომი საგანთან, რომელიც უნდა ასწავლოს კონკურსანტმა - ყოველი სტატია ფასდება ქულებით: უცხო ენაზე გამოქვეყნებული სტატია - 2 ქულით, ქართულ ენაზე გამოქვეყნებული სტატია - 1 ქულით. თუ სტატია გამოქვეყნებულია თანაავტორებთან ერთად, შეფასების ქულა იყოფა ავტორთა რაოდენობაზე და მიღებული რიცხვი მრგვალდება არითმეტიკულად მეათედებამდე. ქულები იკრიბება.

მ.ი) ისეთ სამეცნიერო კონფერენციებში მონაწილეობა ბოლო 5 წლის განმავლობაში, რომლებიც თემატურად ახლოსაა საგანთან, რომელიც კონკურსანტმა უნდა ასწავლოს - მონაწილეობის თითოეული ფაქტი, დადასტურებული კონფერენციის უცხოენოვან კრებულში გამოქვეყნებული თეზისით ფასდება 2 ქულით, ქართულენოვან კრებულში - 1 ქულით. თუ მომხსენებელი რამოდენიმეა, შეფასების ქულა იყოფა მათ რაოდენობაზე და არითმეტიკულად მრგვალდება მეათედებამდე. ქულები იკრიბება.

მ.კ) სამეცნიერო ჟურნალის რედაქტორობა - ერთი დასახელების ჟურნალის რედაქტორობა (სარედაქციო კოლეგიის ან საბჭოს წევრობა) ფასდება 1 ქულით. ქულები იკრიბება.

მ.ლ) გამოცემული მონოგრაფიები და სახელმძღვანელოები - ფასდება ქულებით: თითოეული მონოგრაფია - 2 ქულით, სახელმძღვანელო - 1 ქულით. ქულები იკრიბება.

მ.მ) საერთაშორისო საგრანტო პროექტებში მუშაობის გამოცდილება - ქულებით ფასდება კონკურსანტის სტატუსი თითოეულ პროექტში: ავტორი ან კოორდინატორი - 5 ქულით, მკვლევარი ან პედაგოგი (ტრენერი) – 4 ქულით, ადმინისტრაციული პერსონალი - 3 ქულით, დამხმარე პერსონალი - 2 ქულით. ქულები იკრიბება.

მ.ნ) სწავლების ეფექტური სტრატეგიის ფლობა - ფასდება კონკურსანტის მიერ შერჩეული ერთ-ერთი საგნის სწავლების სტრატეგიის თაობაზე მის მიერვე მომზადებული წერილობითი დოკუმენტი შემდეგი წესით: საგნის ლოგიკური დაგეგმვა, თემების აქტუალობა, შესაბამისობა საგნის მიზანთან, თანმიმდევრობის ლოგიკურობა - მაღალი (3 ქულა), კარგი (2 ქულა), საშუალო (1 ქულა), დაბალი (0 ქულა); სწავლების თანამედროვე მეთოდების გათვალისწინება - მაღალი (3 ქულა), კარგი (2 ქულა), საშუალო (1 ქულა), დაბალი (0 ქულა); შეფასების სტრატეგიის ეფექტურობა, შეფასების მეთოდების შესაბამისობა

მისაღწევ შედეგთან - მაღალი (3 ქულა), კარგი (2 ქულა), საშუალო (1 ქულა), დაბალი (0 ქულა). ქულები იკრიბება.

მ.ო) სასწავლო პროცესში ინფორმაციული ტექნოლოგიებისა და დისტანციური სწავლების ეფექტური გამოყენების უნარი - ფასდება კონკურსანტის მიერ შერჩეული ერთი თემის დისტანციური სწავლებისათვის მის მიერვე მომზადებული მეთოდური მასალა შემდეგი წესით: სალექციო მასალის მომზადების ხარისხი - მაღალი (3 ქულა), კარგი (2 ქულა), საშუალო (1 ქულა), დაბალი (0 ქულა); პრეზენტაციის მომზადების ხარისხი - მაღალი (3 ქულა), კარგი (2 ქულა), საშუალო (1 ქულა), დაბალი (0 ქულა); ვიდეო ლექციის ხარისხი - მაღალი (3 ქულა), კარგი (2 ქულა), საშუალო (1 ქულა), დაბალი (0 ქულა); სასარგებლო ბმულების შესაბამისობა ლექციის თემასთან - მაღალი (3 ქულა), კარგი (2 ქულა), საშუალო (1 ქულა), დაბალი (0 ქულა); დავალების სიცხადე, შეფასების კრიტერიუმების გამჭვირვალობა - მაღალი (3 ქულა), კარგი (2 ქულა), საშუალო (1 ქულა), დაბალი (0 ქულა); ტესტების ნათლად ჩამოყალიბება, ვალიდურობა, სანდოობა, გაზომვადობა - მაღალი (3 ქულა), კარგი (2 ქულა), საშუალო (1 ქულა), დაბალი (0 ქულა). ქულები იკრიბება.

მ.პ) სამეცნიერო კვლევის კონცეფცია - ფასდება კონკურსანტის მიერ შერჩეულ ერთ თემაზე სამეცნიერო კვლევის ჩატარების თაობაზე მის მიერვე მომზადებული წერილობითი დოკუმენტი შემდეგი წესით: სამეცნიერო კვლევის შერჩეული თემის აქტუალობა - მაღალი (3 ქულა), კარგი (2 ქულა), საშუალო (1 ქულა), დაბალი (0 ქულა); სამეცნიერო კვლევის სტრატეგიის განსაზღვრა - მაღალი (3 ქულა), კარგი (2 ქულა), საშუალო (1 ქულა), დაბალი (0 ქულა); ინოვაციური აზროვნება - მაღალი (3 ქულა), კარგი (2 ქულა), საშუალო (1 ქულა), დაბალი (0 ქულა); სამეცნიერო კვლევის მეთოდოლოგია - მაღალი (3 ქულა), კარგი (2 ქულა), საშუალო (1 ქულა), დაბალი (0 ქულა); სამეცნიერო კვლევის შედეგების გამოყენების არეალი- მაღალი (3 ქულა), კარგი (2 ქულა), საშუალო (1 ქულა), დაბალი (0 ქულა); აკადემიური წერის ხარისხი - მაღალი (3 ქულა), კარგი (2 ქულა), საშუალო (1 ქულა), დაბალი (0 ქულა). ქულები იკრიბება.

ნ) ყველა კონკურსანტის შეფასების უწყისის შევსების შემდეგ კომისიის თითოეული წევრი ავსებს მაქსიმალური შეფასების უწყისს შემდეგი წესით:

- აკადემიური ხარისხი - 3 ქულა,
- შესაბამის სფეროში მნიშვნელოვანი გადაწყვეტილებების მიმღებ თანამდებობებზე მუშაობის გამოცდილება - იმ კონკურსანტის ქულა, რომელმაც ყველაზე მაღალი შეფასება მიიღო ამ კრიტერიუმით,
- ავტორიზებულ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში ადმინისტრაციულ თანამდებობაზე მუშაობის გამოცდილება ბოლო 5 წლის განმავლობაში - იმ კონკურსანტის ქულა, რომელმაც ყველაზე მაღალი შეფასება მიიღო ამ კრიტერიუმით,
- პედაგოგიური საქმიანობის გამოცდილება - იმ კონკურსანტის ქულა, რომელმაც ყველაზე მაღალი შეფასება მიიღო ამ კრიტერიუმით,
- კვალიფიკაციის ამაღლება სპეციალობით ან პედაგოგიური საქმიანობის მიმართულებით - იმ კონკურსანტის ქულა, რომელმაც ყველაზე მაღალი შეფასება მიიღო ამ კრიტერიუმით,
- სამაგისტრო და სადოქტორო ნაშრომების ხელმძღვანელობა - იმ კონკურსანტის ქულა, რომელმაც ყველაზე მაღალი შეფასება მიიღო ამ კრიტერიუმით,
- დასრულებული სამეცნიერო-კვლევითი პროექტები ბოლო ხუთი წლის მანძილზე - იმ კონკურსანტის ქულა, რომელმაც ყველაზე მაღალი შეფასება მიიღო ამ კრიტერიუმით,
- ბოლო 10 წლის განმავლობაში გამოქვეყნებული სამეცნიერო-კვლევითი სტატიები, თემატურად ახლოს მდგომი საგანთან, რომელიც უნდა ასწავლოს კონკურსანტმა - იმ კონკურსანტის ქულა, რომელმაც ყველაზე მაღალი შეფასება მიიღო ამ კრიტერიუმით,
- ისეთ სამეცნიერო კონფერენციებში მონაწილეობა ბოლო 5 წლის განმავლობაში, რომლებიც თემატურად ახლოსაა საგანთან, რომელიც კონკურსანტმა უნდა ასწავლოს - იმ კონკურსანტის ქულა, რომელმაც ყველაზე მაღალი შეფასება მიიღო ამ კრიტერიუმით,

- სამეცნიერო ჟურნალის რედაქტორობა - იმ კონკურსანტის ქულა, რომელმაც ყველაზე მაღალი შეფასება მიიღო ამ კრიტერიუმით,
- გამოცემული მონოგრაფიები და სახელმძღვანელოები - იმ კონკურსანტის ქულა, რომელმაც ყველაზე მაღალი შეფასება მიიღო ამ კრიტერიუმით,
- საერთაშორისო საგრანტო პროექტებში მუშაობის გამოცდილება - იმ კონკურსანტის ქულა, რომელმაც ყველაზე მაღალი შეფასება მიიღო ამ კრიტერიუმით,
- სწავლების ეფექტური სტრატეგიის ფლობა - 9 ქულა,
- სასწავლო პროცესში ინფორმაციული ტექნოლოგიებისა და დისტანციური სწავლების ეფექტური გამოყენების უნარი - 18 ქულა,
- სამეცნიერო კვლევის კონცეფცია - 18 ქულა,
- ყველა კრიტერიუმების ჯამი - ყველა კრიტერიუმის შეფასების ჯამი ამ უწყისის მიხედვით.

ო) კონკურსანტთა საბოლოო რეესტრის დამტკიცებიდან ორი კვირის ვადაში კომისიის თავმჯდომარემ უნდა შეადგინოს კონკურსიდან მოხსნილთა და კონკურსანტთა რეიტინგული სიები და მოიწვიოს კომისიის სხდომა მათ დასამტკიცებლად.

პ) კონკურსანტთა რეიტინგული სიის შესადგენად კომისიის თავმჯდომარე:

პ.ა) გამოთვლის კომპეტენციის მინიმალურ ზღვარს შემდეგი წესით: კრებს მაქსიმალური შეფასებების უწყისების „ყველა კრიტერიუმების ჯამს“ ყველა უწყისიდან, ყოფს ამ უწყისების რაოდენობაზე, გამოთვლის:

- მიღებული რიცხვის 60%-ს, თუ კონკურსი ტარდება პროფესორის თანამდებობის დასაკავებლად,
- მიღებული რიცხვის 55%-ს, თუ კონკურსი ტარდება ასოცირებული პროფესორის თანამდებობის დასაკავებლად,
- მიღებული რიცხვის 50%-ს, თუ კონკურსი ტარდება ასისტენტ-პროფესორის ან ასისტენტის თანამდებობის დასაკავებლად

და შედეგს ამრგვალებს უახლოეს ნაკლებ მთელ რიცხვამდე, რომელიც არის კომპეტენციის მინიმალური ზღვარი;

პ.ბ) გამოთვლის კვალიფიკაციის შეფასების თითოეული კრიტერიუმის საშუალო ქულას ყოველი კონკურსანტისათვის, რისთვისაც კრებს თითოეული კრიტერიუმის შეფასების ქულებს ყველა უწყისიდან, ჯამს ყოფს უწყისების რაოდენობაზე და განაყოფს არითმეტიკული წესით ამრგვალებს მთელ რიცხვამდე, რომელიც არის კონკურსანტის კომპეტენციის მაჩვენებელი,

პ.გ) ის კონკურსანტები, რომელთა კომპეტენციის მაჩვენებელი ნაკლებია კომპეტენციის მინიმალურ ზღვარზე, შეყავს კონკურსიდან მოხსნილთა სიაში, დანარჩენები - კონკურსის დამატებითი ეტაპის მონაწილეთა სიაში;

პ.დ) დამატებითი ეტაპის სიაში შეყვანილი თითოეული კონკურსანტისათვის, მისი კომპეტენციის მაჩვენებლის საფუძველზე, გამოთვლის კვალიფიკაციის რეიტინგული შეფასების მაჩვენებლს, რისთვისაც კომპეტენციის ყველაზე მაღალი მაჩვენებლის მქონე კონკურსანტს ეწერება მაქსიმალური ბალი, რომელიც ტოლია კონკურსანტთა რაოდენობისა კონკურსის დამატებითი ეტაპის მონაწილეთა სიაში, მომდევნო ყველაზე მაღალი მაჩვებებლის მქონე კონკურსანტის შეფასება მცირდება 1 ბალით და ა.შ..

ჟ) კონკურსანტთა რეიტინგულ სიაში კონკურსანტები ლაგდებიან რეიტინგული შეფასების მაჩვენებლის კლებადობის პრინციპით - პირველ ნომრად იწერება ყველაზე მაღალი მაჩვენებლის მქონე კონკურსანტი, ბოლო ნომრად - ყველაზე დაბალი მაჩვენებლის მქონე.

რ) თუ ორი ან რამოდენიმე კონკურსანტის კვალიფიკაციის რეიტინგული შეფასება ერთნაირია, სიაში წინ იწერება ის კონკურსანტი, რომელსაც უფრო მაღალი აქვს ამ პუნქტის „მ.ნ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული შეფასების კრიტერიუმის საშუალო ბალი, თუ ეს მაჩვენებელიც ერთნაირია, სიაში წინ იწერება ის კონკურსანტი, რომელსაც უფრო მაღალი აქვს ამ პუნქტის „მ.ა“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული შეფასების კრიტერიუმის საშუალო ბალი. შეფასების უწყისები რეიტინგული სიის შემადგენელი ნაწილია.

ს) კონკურსიდან მოხსნილთა და რეიტინგული სიების დამტკიცების შემდეგ კომისია ნიშნავს კონკურსის დამატებითი ეტაპის გამართვის ადგილსა და დროს. დამატებითი ეტაპი მოიცავს გამოცდას ინგლისურ ენაში და კონკურსანტთა ლექციის საჯარო მოსმენას. კომისია განსაზღვრავს ლექციის თემასა და ხანგრძლივობას. დამატებითი ეტაპი უნდა ჩატარდეს არაუგვიანეს კომისიის ამ ქვეპუნქტით განსაზღვრული სხდომის გამართვის მეხუთე სამუშაო დღისა.

ტ) კონკურსიდან მოხსნილთა და რეიტინგული სიების ასლები დამტკიცებისთანავე გადაეცემა ადამიანური რესურსების სამსახურის უფროსს, რომელიც ვალდებულია, მაშინვე დაუგზავნოს შესაბამისი შეტყობინებები ყველა კონკურსანტს ტელეფონითა და ელექტრონული ფოსტით.

უ) კონკურსის დამატებით ეტაპზე ინგლისური ენის ცოდნა ფასდება ინგლისურენოვანი სამეცნიერო ტექსტის წერილობითი თარგმანით ქართულ ენაზე, რომელსაც კონკურსანტები ასრულებენ ერთად, საკონკურსო კომისიის თანდასწრებით. თარგმანი ფასდება ქულებით შემდეგი წესით: თარგმანი შესრულებულია ლექსიკონის გარეშე, ზუსტად, შინაარსი გადმოცემულია უშეცდომოდ - 5 ქულა; თარგმანი შესრულებულია ლექსიკონით, შეიცავს უმნიშვნელო უზუსტობებს, შინაარსი გადმოცემულია მცირედი ხარვეზებით - 4 ქულა, თარგმანი შეიცავს მნიშვნელოვან უზუსტობებს, შინაარსი გადმოცემულია მნიშვნელოვანი ხარვეზებით - 3 ქულა, თარგმანი არაზუსტია, შინაარსი გაურკვეველია - 2 ქულა. ყველა სხვა შემთხვევა ფასდება 0 ქულით. კომისიის თითოეული წევრი დამოუკიდებლად აფასებს ინგლისური ენის ცოდნას იმ ქართული თარგმანის საფუძველზე, რომელიც მომზადებულია ინგლისური ენის კვალიფიციური სპეციალისტის მიერ. კომისიის წევრებს შეფასებები შეაქვთ დამატებით უწყისებში.

ფ) კონკურსანტთა ლექციების მოსმენილ უნდა იქნას კომისიის სხდომაზე. სხდომის ის ნაწილი, რომელზეც კონკურსანტების ლექციები ისმინება, საჯაროა. კონკურსანტები ლექციებს კითხულობენ რეიტინგული სიის შებრუნებული რიგითობით. კომისიის თითოეული წევრი დამოუკიდებლად აფასებს მოსმენილი ლექციების ხარისხს და შეფასება შეაქვს დამატებით უწყისში. ლექციის ხარისხი ფასდება ქულებით შემდეგი წესით: ლექციის ლოგიკური დაგეგმვა, გამოყენებული მასალის აქტუალობა და შესაბამისობა თემის მიზანთან - მაღალი (3 ქულა), კარგი (2 ქულა), საშუალო (1 ქულა), დაბალი (0 ქულა); დისკუსიის წარმართვის ხელოვნება, აუდიტორიის ფლობის უნარი - მაღალი (3 ქულა), კარგი (2 ქულა), საშუალო (1 ქულა), დაბალი (0 ქულა); ინფორმაციის მიწოდების ეფექტური ვერბალური და არავერბალური ტექნიკის ფლობის უნარი - მაღალი (3 ქულა), კარგი (2 ქულა), საშუალო (1 ქულა), დაბალი (0 ქულა); სწავლების თანამედროვე მეთოდების ფლობა და ეფექტურად გამოყენების უნარი - მაღალი (3 ქულა), კარგი (2 ქულა), საშუალო (1 ქულა), დაბალი (0 ქულა). კონკურსანტი, რომელიც არ წაიკითხავს ლექციას, ფასდება 0 ქულით.

ქ) კომისიის წევრები შეფასების დამატებით უწყისებს შევსებისთანავე გადასცემენ კომისიის თავმჯდომარეს, რომელიც მაშინვე აერთიანებს მათ პირველი ეტაპის შესაბამის უწყისებთან და ადგენს კორექტირებულ რეიტინგულ სიას ამ პუნქტის „პ“-„ჟ“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებული წესით.

ღ) თუ ორი ან რამოდენიმე კონკურსანტის კვალიფიკაციის რეიტინგული შეფასება ერთნაირია, სიაში წინ იწერება ის კონკურსანტი, რომელსაც უფრო მაღალი აქვს ამ პუნქტის „მ.ნ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული შეფასების კრიტერიუმის საშუალო ქულა, თუ ეს მაჩვენებელიც ერთნაირია, სიაში წინ იწერება ის კონკურსანტი, რომელსაც უფრო მაღალი აქვს ამ პუნქტის „უ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული შეფასების კრიტერიუმის საშუალო ქულა. შეფასების დამატებითი უწყისები კორექტირებული რეიტინგული სიის შემადგენელი ნაწილია.

ყ) კორექტირებული რეიტინგული სიის შედგენისთანავე კომისია ამტკიცებს მას და კონკურსის გამარჯვებულად ადგენს ამ სიაში პირველი ნომრით ჩაწერილ კონკურსანტს.

შ) კონკურსის გამარჯვებულის დადგენისთანავე ადამიანური რესურსების სამსახური ტელეფონისა და ელექტრონული ფოსტის საშუალებით აცნობებს ამის შესახებ დამატებითი ეტაპის ყველა მონაწილეს, ხოლო გამარჯვებულს უნიშნავს ვადას, არაუმეტეს 10 დღისა, იმისათვის, რომ იგი პირადად გამოცხადდეს საზოგადოების კანცელარიაში და წარმოადგინოს სამუშაოზე მისაღებად აუცილებელი ყველა საბუთის დედანი. იმავე ან მომდევნო სამუშაო დღეს ინფორმაციას კონკურსის გამარჯვებულის გამოვლენისა და

გამარჯვებულის ვინაობის შესახებ ადამიანური რესურსების სამსახური განათავსებს საინფორმაციო დაფაზე უნივერსიტეტის შენობაში, ხოლო კომპიუტერული ტექნოლოგიებით უზრუნველყოფის სამსახური - პროაქტიურად უნივერსიტეტის ვებ-გვერდზე.

ჩ) თუ გამარჯვებული კონკურსანტი დათქმულ ვადაში სრულად შეასრულებს ამ პუნქტის „შ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებულ ვალდებულებას, იგი დაინიშნება კონკურსით გათვალისწინებულ თანამდებობაზე.

ც) თუ გამარჯვებული კონკურსანტი დათქმულ ვადაში არ შეასრულებს ან არაჯეროვნად შეასრულებს ამ პუნქტის „შ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებულ ვალდებულებებს (არ გამოცხადდება საზოგადოების კანცელარიაში დათქმულ ვადაში, არ წარმოადგენს ყველა საბუთს ან რომელიმე წარმოდგენილი საბუთი ყალბი აღმოჩნდება), გამარჯვებული კონკურსანტი თანამდებობაზე აღარ დაინიშნება. ამ ფაქტის შესახებ ადანიანური რესურსების სამსახურის უფროსი დაუყოვნებლივ წერილობით აცნობებს საზოგადოების დირექტორს, ის კი, თავის მხრივ - საკონკურსო კომისიის თავმჯდომარეს. ამ შემთხვევაში საკონკურსო კომისიის თავმჯდომარე დაუყოვნებლივ იწვევს კომისიის სხდომას, რომელიც ახდენს გამარჯვებული კონკურსანტის დისკვალიფიკაციას. კომისიის ეს სხდომა უფლებამოსილია, კონკურსის გამარჯვებულად გამოაცხადოს რეიტინგულ სიაში მეორე ნომრით ჩაწერილი კონკურსანტი. თუ კომისია არ გამოიყენებს თავის ამ უფლებამოსილებას ან თუ მეორე კანდიდატიც არ დაინიშნება აკადემიურ თანამდებობაზე ამ ქვეპუნქტით გათვალისწინებული ვითარების გამო, კონკურსი ჩაითვლება უარყოფითი შედეგით დასრულებულად.

ძ) კონკურსის გამარჯვებულის გამოვლენიდან 3 სამუშაო დღის ვადაში საზოგადოების დირექტორი რეზოლუციით ავალებს ადამიანური რესურსების სამსახურის უფროსს პრეტენდენტის თანამდებობაზე დანიშვნის ბრძანებისა და შრომითი ხელშეკრულების პროექტების მომზადებას. დანიშვნის ბრძანებისა და შრომითი ხელშეკრულების პროექტები უნდა შეთანხმდეს უნივერსიტეტის რექტორთან.

წ) თუ პირი აკადემიურ თანამდებობაზე დანიშვნამდე არ მუშობდა საზოგადოებაში, შრომითი ხელშეკრულება შეიძლება დაიდოს გამოსაცდელი ვადით არაუმეტეს 6 თვისა, თუ ეს მითითებულია საკონკურსო განცხადებაში.

ჭ) ადამიანური რესურსების სამსახურის უფროსი თანამდებობაზე დანიშვნის ბრძანებისა და შრომითი ხელშეკრულების პროექტებს ამზადებს და ხელმოსაწერად წარუდგენს დირექტორს დავალების მიღების მომდევნო 3 სამუშაო დღის ვადაში და ათანხმებს მასთან ამ საბუთების გაცნობისა და ხელმოწერის დროს.

ხ) საზოგადოების დირექტორი ხელს აწერს თანამდებობაზე დანიშვნის ბრძანებასა და შრომით ხელშეკრულებას მისთვის ამ საბუთების პროექტების წარდგენის დღესვე.

ჯ) დანიშნული პირი ვალდებულია, გამოცხადდეს კანცელარიაში ადამიანური რესურსების სამსახურის უფროსთან შეთანხმებულ დროს, გაეცნოს დანიშვნის ბრძანებას, შრომით ხელშეკრულებასა და შინაგანაწესს, მიიღოს დანიშვნის ბრძანების დამოწმებული ასლი და შრომითი ხელშეკრულების ერთი პირი და კანცელარიაში დატოვოს ხელწერილი აღნიშნული საბუთების მიღებისა და შინაგანაწესის გაცნობის შესახებ. თუ დანიშნული პირი არ გააკეთებს ამას დათქმულ დროს ან მომდევნო 5 სამუშაო დღის განმავლობაში ისე, რომ არ აცნობებს ადამიანური რესურსების სამსახურის უფროსს გამოუცხადებლობის მიზეზს ან ვერ დაასაბუთებს, რომ არსებობდა ასეთი საპატიო მიზეზი, საზოგადოების დირექტორი უფლებამოსილია, გააუქმოს ამ პირის თანამდებობაზე დანიშვნის ბრძანება.

7.11. საზოგადოებაში სამუშაოდ მიღებულ თანამშრომლებს, ერთის მხრივ, და საზოგადოებას შორის, მეორეს მხრივ, ფორმდება ინდივიდუალური შრომითი ხელშეკრულება შრომის მოქმედი კანონმდებლობის, ამ წესდებისა და საზოგადოების შინაგანაწესის მოთხოვნათა გათვალისწინებით. შრომითი ხელშეკრულება განსაზღვრავს საზოგადოების კონკრეტული თანამშრომლის უფლება-მოვალეობებს.

7.12. თანამშრომელთან შრომითი ხელშეკრულების შეწყვეტა დასაშვებია შინაგანაწესითა და შრომის ხელშეკრულებით გათვალისწინებულ შემთხვევებში შრომის მოქმედი კანონმდებლობის ნორმების დაცვით.

7.13. საზოგადოება ვალდებულია, უზრუნველყოს შრომის კანონმდებლობის, შრომის დაცვისა და უსაფრთხოების ტექნიკის წესების, საწარმო სანიტარიის მოთხოვნების შესრულება, შრომის დისციპლინის დაცვა.

7.14. საზოგადოება მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად აწარმოებს თავისი იმ თანამშრომლების შრომითი საქმიანობის სისტემატურ აღრიცხვას, რომელთათვისაც საზოგადოება ძირითად სამუშაო ადგილს წარმოადგენს.

7.15. საზოგადოება პასუხს აგებს თანამშრომელთა ჯანმრთელობისა და შრომისუნარიანობისათვის მიყენებული ზიანისათვის შრომის მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

7.16. საზოგადოების პარტნიორთა კრება განსაზღვრავს საზოგადოების თანამშრომელთა შრომის ანაზღაურების სისტემას, ფორმებსა და ოდენობას, აგრეთვე – საზოგადოებიდან მათ მიერ მისაღები სხვა შემოსავლების განაწილების წესებს.

7.17. საზოგადოება ვალდებულია, უზრუნველყოს მოქმედი კანონმდებლობით დადგენილი შრომის ანაზღაურების მინიმუმი.

7.18. შრომითი ურთიერთობების საკითხები, რომლებიც ამ წესდებით არაა რეგლამენტირებული, რეგულირდება საზოგადოების შინაგანაწესით.

7.19. შრომით ურთიერთობებთან დაკავშირებული ყველა სადაო საკითხი, შრომის ანაზღაურების საკითხთა ჩათვლით, განიხილება საზოგადოების დირექტორის მიერ „საქართველოს შრომის კოდექსისა“ და საზოგადოების შინაგანაწესის შესაბამისად, შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში – სასამართლოს მიერ „სამოქალაქო საპროცესო კოდექსით“ დადგენილი წესით.

მუხლი 8. უნივერსიტეტის სტუდენტი

8.1.უნივერსიტეტის სტუდენტი არის პირი, რომელიც „უმაღლესი განათლების შესახებ” საქართველოს კანონის შესაბამისად ჩაირიცხა და სწავლობს უნივერსიტეტში ბაკალავრიატის, მაგისტრატურის ან დოქტორანტურის აკადემიური უმაღლესი განათლების საგანმანათლებლო პროგრამის გასავლელად. ბაკალავრიატის, მაგისტრატურის ან დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამის გასავლელად ჩარიცხვისას პირი იძენს სტუდენტის სტატუსს. სტუდენტის სტატუსი პირს შეიძლება შეუჩერდეს საზოგადოების შინაგანაწესით განსაზღვრულ შემთხვევებში. პირს უწყდება სტუდენტის სტატუსი ამ წესდებით გათვალისწინებულ შემთხვევებში.

8.2. სტუდენტთან სამართლებრივ ურთიერთობებში უნივერსიტეტს წარმოადგენს რექტორი.

8.3. უნივერსიტეტში სტუდენტი ჩაირიცხება უნივერსიტეტის რექტორის ბრძანებით.

8.4. ჩარიცხულ სტედენტსა და უნივერსიტეტს შორის ფორმდება შესაბამისი ხელშეკრულება, რომელიც აწესრიგებს ურთიერთობებს უნივერსიტეტსა და სტუდენტს შორის. ხელშეკრულებას საზოგადოების სახელით ხელს აწერს უნივერსიტეტის რექტორი.

8.5. უნივერსიტეტში სწავლის პერიოდში სტუდენტს უფლება აქვს:

ა) მიიღოს ხარისხიანი განათლება და მოითხოვოს სწავლისათვის ნორმალური პირობების შექმნა;

ბ) მონაწილეობა მიიღოს მეცნიერულ კვლევაში;

გ) აირჩიოს წარმომადგენელი და არჩეულ იქნას სტუდენტურ თვითმმართველობასა და, შინაგანაწესით განსაზღვრულ შემთხვევებში, უნივერსიტეტის მმართველ ორგანოებში;

დ) მონაწილეობა მიიღოს უნივერსიტეტის მიერ ორგანიზებულ გაცვლით და სხვა საერთაშორისო პროგრამებში;

ე) მონაწილეობა მიიღოს ლექტორ-მასწავლებელთა საქმიანობის შეფასებაში;

ვ) თავისუფლად გამოხატოს საკუთარი აზრი და დასაბუთებული უარი თქვას იმ იდეათა გაზიარებაზე, რომლებსაც თავაზობენ სასწავლო პროცესის მიმდინარეობისას;

ზ) დააარსოს ან/და გაერთიანდეს სტუდენტურ ორგანიზაციებში თავისი ინტერესების შესაბამისად;

თ) მოქმედი კანონმდებლობისა და ამ წესდების შესაბამისად სახელმწიფოსგან, უნივერსიტეტისაგან ან სხვა წყაროებიდან მიიღოს სტიპენდია, ფინანსური ან მატერიალური დახმარება, სხვა სახის შეღავათები;

ი) მონაწილეობა მიიღოს ინდივიდუალური საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავებაში.

8.6. შეზღუდული შესაძლებლობების მქონე სტუდენტებისთვის, მათი სრულფასოვანი განათლებისათვის აუცილებელი პირობების შესაქმნელად, უნივერსიტეტს შეუძლია დააწესოს ინდივიდუალური შეღავათები სტიპენდიის დანიშვნის, სპეციალური მატერიალურ-ტექნიკური ბაზის მოწყობისა და ანალოგიური ღონისძიებების სახით. მსგავსი შეღავათები შეიძლება დაწესდეს სოციალურად დაუცველ სტუდენტთათვის.

8.7. სტუდენტი ვალდებულია, უნივერსიტეტის მიერ დადგენილი პროგრამის მიხედვით ისწავლოს ყველა ის საგანი, რომელიც საკუთარი სურვილით აირჩია ან/და რომლის სწავლაც სავალდებულოა, დაიცვას საზოგადოების წესდების, შინაგანაწესის, უნივერსიტეტის მმართველი ორგანოებისა და პირების გადაწყვეტილებების ნორმები.

8.8. სტუდენტი ვალდებულია, განუხრელად დაიცვას ამ წესდებით, შინაგანაწესითა და სტუდენტის ეთიკის კოდექსით დადგენილი ქცევის წესები. სტუდენტის ეთიკის კოდექსს ადგენს უნივერსიტეტი შინაგანაწესით განსაზღვრული წესით.

8.9. ამ წესდების 8.8 პუნქტით განსაზღვრული ვალდებულების დარღვევისათვის სრუდენტს შეიძლება დაეკისროს დისციპლინური პასუხისმგებლობა.

8.10. გადაწყვეტილება სტუდენტისათვის დისციპლინური პასუხისმგებლობის დაკისრებაზე და პასუხისმგებლობის ზომის დადგენაზე მიიღება დისციპლინური წარმოების პროცესში.

8.11. დისციპლინური წარმოება იწყება რექტორის შესაბამისი ბრძანებით, რომლის საფუძველიც შეიძლება იყოს ადმინისტრაციული ორგანოს შეტყობინება ან საზოგადოების ნებისმიერი თანამშრომლის მოხსენებითი ბარათი სტუდენტის მიერ ქცევის ნორმების დარღვევის თაობაზე.

8.12. სტუდენტის მიმართ დისციპლინური წარმოების დაწყების საფუძველია ერთ-ერთი ან რამოდენიმე ქვემოთ ჩამოთვლილ ქცევათაგან:

ა) აკადემიური თაღლითობა: გადაწერა სხვა სტუდენტის ნამუშევრიდან ან გადასაწერად ნებისმიერი სახის წინასწარ მომზადებული ისეთი დამხმარე მასალისა და ტექნიკური საშუალებების გამოყენება, რომლებიც არაა ნებადართული;

ბ) პლაგიატი - სხვისი ნამუშევრის სრულად ან ნაწილობრივ გადაწერა ავტორისა და წყაროს მითითების გარეშე, სხვა პირის წერილობითი აკადემიური ნაშრომის ან მისი ნაწილის საკუთრად გასაღება;

გ) სხვა სტუდენტისათვის ხელის შეშლა სწავლისა და კვლევის პროცესში საჭირო რესურსების დამალვით, მოპარვით ან განადგურებით, სხვა სტუდენტის ნამუშევრის მოპარვა, განადგურება, შეცვლა;

დ) სხვა სტუდენტისათვის აკადემიური თაღლითობის ჩადენაში ხელის შეწყობა;

ე) კვლევითი სამუშაოების მონაცემებისა და შედეგების გაყალბება;

ვ) ინდივიდუალური დავალების ჯგუფურად მომზადება ან ერთი პირის მიერ მომზადებული დავალების ჯგუფურ ნამუშევრად გასაღება;

ზ) სხვა პირთან გარიგება იდენტობის გაყალბების საშუალებით გამოცდის ჩაბარების მიზნით;

თ) საგამოცდო მასალების, მათ შესახებ კონფიდენციალური ინფორმაციის მოპოვება, გავრცელება, ასევე ჩაბარებული წერილობითი ნამუშევრის უნებართვოდ ჩანაცვლება;

ი) სტუდენტის აკადემიური და ადმინისტრაციული საუნივერსიტეტო მონაცემების გაყალბება ან/და გაყალბებული მონაცემების გამოყენება;

კ) ლექტორზე, გამომცდელზე, უნივერსიტეტის თანამშრომელზე ზეწოლა შეფასების მიღების მიზნით;

ლ) უნივერსიტეტში წარსადგენი დოკუმენტის გაყალბება ან დოკუმენტების არასრულად წარდგენა;

მ) ხელის შეშლა სასწავლო პროცესის მიმდინარეობისათვის;

ნ) თამბაქოს მოწევა უნივერსიტეტის შენობაში ან საამისოდ ნებადართული ტერიტორიის ფარგლებს გარეთ;

ო) უნივერსიტეტის ტერიტორიაზე ალკოჰოლური სასმელების შეტანა, გავრცელება ან/და მოხმარება, თუ ღონისძიება სპეციალურად არ არის ორგანიზებული ან ნებადართული უნივერსიტეტის მიერ;

პ) უნივერსიტეტის ტერიტორიაზე აზარტული თამაშების ორგანიზება და/ან მათში მონაწილეობა;

ჟ) უნივერსიტეტის ქონების დაკარგვა ან/და დაზიანება;

რ) უნივერსიტეტის ტერიტორიის დანაგვიანება;

ს) ბილწსიტყვაობა უნივერსიტეტის ტერიტორიაზე;

ტ) სიტყვიერი შეურაცხყოფის მიყენება სხვა პირისათვის უნივერსიტეტის ტერიტორიაზე;

უ) სხვა პირის მიმართ ძალადობა ან მისთვის ფიზიკური შეურაცხყოფის მიყენება;

ფ) უნივერსიტეტის ტერიტორიაზე ნარკოტიკული ან/და ფსიქოტროპული საშუალებების შეტანა;

ღ) ნარკოტიკული ან/და ფსიქოტროპული საშუალებების გავრცელება ან/და გამოყენება;

ყ) უნივერსიტეტის ტერიტორიაზე „იარაღის შესახებ“ საქართველოს კანონით განსაზღვრული ცეცხლსასროლი/ცივი იარაღის შეტანა, გამოყენება, სხვისთვის გადაცემა;

შ) უნივერსიტეტის ტერიტორიაზე ისეთი ფეთქებადი და აალებადი ნივთებისა და ნივთიერებების შეტანა, გამოყენება, გავრცელება ან სხვისთვის გადაცემა, რომლებიც ხანძრის ან/და აფეთქების რეალურ საფრთხეს ქმნის;

ჩ) სხვა პირზე ფსიქოლოგიური ზეწოლა, მუქარა, დაშინება ან მორალური ზემოქმედება უნივერსიტეტის ტერიტორიაზე ან, თუ სხვა პირი საზოგადოების თანამშრომელი ან უნივერსიტეტის სტუდენტია, უნივერსიტეტის ტერიტორიის გარეთ;

ც) სხვა პირის დისკრიმინაცია - პირის პირდაპირ ან არაპირდაპირ შევიწროება, რომელიც მიზნად ისახავს ან იწვევს მისთვის დამაშინებელი, მტრული, დამამცირებელი, ღირსების შემლახველი ან შეურაცხმყოფელი გარემოს შექმნას ან/და პირისთვის ისეთი პირობების შექმნა, რომლებიც პირდაპირ ან არაპირდაპირ აუარესებს მის მდგომარეობას ანალოგიურ პირობებში მყოფ სხვა პირთან შედარებით რასის, კანის ფერის, ენის, სქესის, სექსუალური ორიენტაციის, გენდერული იდენტობის, ასაკის, რელიგიის, რწმენის, მსოფლმხედველობის, პოლიტიკური ან სხვა შეხედულების, პოლიტიკური გაერთიანების წევრობის, შეზღუდული შესაძლებლობის, მოქალაქეობის, ეროვნული, კულტურული კუთვნილების, ეთნიკური ან სოციალური კუთვნილების, წარმოშობის, ოჯახური, ქონებრივი და წოდებრივი მდგომარეობის, საცხოვრებელი ადგილის, ჯანმრთელობის მდგომარეობის, ცხოვრების წესის, დაბადების ადგილის, ასაკის ან ნებისმიერი სხვა ნიშნის საფუძველზე;

ძ) სხვა სტუდენტის საკუთრების ხელყოფა, დაზიანება ან განადგურება;

წ) სხვა სტუდენტის საკუთრების უფლების რაიმე სახით შეზღუდვა, მათ შორის, ნივთის დაუფლება და ფაქტობრივი ფლობა მესაკუთრის ნების საწინააღმდეგოდ, ნივთის მოტყუებით გამორთმევა ან გამოძალვა ან ნივთის ბედის სხვაგვარი გადაწყვეტა, ასევე ზემოაღნიშნულ ქმედებათა მცდელობა, მათ შორის, ჩადენილი მოტყუებით ან მუქარით.

8.13. დისციპლინურ წარმოებას ახორციელებს სადისციპლინო კომისია, რომელიც იქმნება შინაგანაწესის შესაბამისად.

8.14. სადისციპლინო კომისია საქმიანობს შინაგანაწესით განსაზრული წესით.

8.15. სადისციპლინო კომისია იღებს გადაწყვეტილებას სტუდენტისათვის დისციპლინური პასუხისმგებლობის ზომის შეფარდებაზე. დისციპლინური პასუხიმგებლობის ზომებია:

ა) წერილობითი გაფრთხილება;

ბ) გამოცდის ან წერილობითი ნაშრომის შეფასების გაუქმება;

გ) ფულადი ჯარიმის დაკისრება 200 ლარამდე ოდენობით;

დ) სრუდენტის სტატუსის შეჩერება 2 წლამდე ვადით;

ე) სტუდენტის სტატუსის შეწყვეტა.

8.16. თუ სტუდენტის ქმედებით, რომელიც დისციპლინური წარმოების საფუძველი გახდა, უნივერსიტეტს მიადგა ფულადი ან მატერიალური ზიანი, სტუდენტი ვალდებულია, აანაზღაუროს ეს ზიანი შინაგანაწესით დადგენილი ფორმითა და ოდენობით. ზიანის ანაზღაურება არ ათავისუფლებს სტუდენტს დისციპლინური პასუხისმგებლობისაგან.

8.17. სტუდენტის მიმართ დისციპლინური წარმოების დაწყება ზღუდავს მის უფლებას, მონაწილეობა მიიღოს სასწავლო პროცესში, მხოლოდ შინაგანაწესით გათვალისწინებულ შემთხვევებში.

8.18. მის მიმართ დისციპლინური წარმოების პროცესში სტუდენტს უფლება აქვს:

ა) მიიღოს დისციპლინური წარმოების დაწყების შესახებ დირექტორის ბრძანების დამოწმებული ასლი;

ბ) დაესწროს სადისციპლინო კომისიის სხდომებს, რომლებზეც განიხილება მისი დისციპლინური პასუხისმგებლობის საკითხი და ისარგებლოს დაცვის უფლებით;

გ) მიაწოდოს სადისციპლინო კომისიას მის ხელთ არსებული ინფორმაცია და მტკიცებულებები;

დ) მონაწილეობა მიიღოს სადისციპლინო კომისიის მიერ მოპოვებული მტკიცებულებების გამოკვლევაში;

ე) მოითხოვოს, მის მიმართ დისციპლინური წარმოების საკითხის განხილვა სადისციპლინო კომისიის საჯარო სხდომაზე.

8.19. დისციპლინური წარმოების დასრულების შემდეგ უნივერსიტეტის რექტორი, სადისციპლინო კომისიის გადაწყვეტილების საფუძველზე, გამოსცემს ბრძანებას სტუდენტისათვის დისციპლინური პასუხიმგებლობის შესაბამისი ზომის დაკისრების შესახებ. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს სასამართლოში მისი გამოცემიდან 30 დღის განმავლობაში.

8.20. ბაკალავრიატის, მაგისტრატურის ან დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამის წარმატებით დასრულების შემდეგ უნივერსიტეტი სტუდენტს აძლევს შესაბამისი აკადემიური ხარისხის დამადასტურებელ დიპლომს შინაგანაწესით გათვალისწინებული წესით.

8.21. პირს, რომელიც ირიცხება უნივერსიტეტის სტუდენტად, სტუდენტის სტატუსი უწყდება შემდეგ შემთხვევებში:

ა) მისივე სურვილით;

ბ) თუ წარმატებით დაასრულა სწავლა შესაბამისი საგანმანათლებლო პროგრამით და მიიღო აკადემიური ხარისხის დამადასტურებელი დიპლომი;

გ) თუ სამჯერ გაივლის შესაბამისი საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებულ ერთ ან რამოდენიმე სავალდებულო სასწავლო კურსს და სამჯერვე არადამაკმაყოფილებელ (უარყოფით) შეფასებას მიიღებს;

დ) თუ გავიდა შესაბამისი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის ასათვისებლად გათვალისწინებული მაქსიმალური ვადა (სტუდენტის სტატუსის შეჩერების პერიოდების გარეშე);

ე) თუ დისციპლინური პასუხისმგებლობის ზომად შეეფარდა სტუდენტის სტატუსის შეწყვეტა;

ვ) თუ მისთვის სტუდენტის სტატუსის შეჩერებიდან გავიდა 5 წელი;

ზ) თუ გარდაიცვალა.

8.22. სტუდენტის სტატუსის დაკარგვისას წყდება სამართლებრივი ურთიერთობები სტატუსდაკარგულ პირსა და უნივერსიტეტს შორის.

8.23. ყველა სამართლებრივი ურთიერთობა სტუდენტსა და უნივერსიტეტს შორის, რომელიც ამ წესდებით არაა რეგლამენტირებული, წესრიგდება საზოგადოების შინაგანაწესით.

8.24. ნებისმიერი დავა სტუდენტისა და უნივერსიტეტის სამართლებრივ ურთიერთობებთან დაკავშირებით განიხილება უნივერსიტეტის რექტორის მიერ, შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში – სასამართლოს მიერ „სამოქალაქო საპროცესო კოდექსით“ დადგენილი წესით.

მუხლი 9. აღრიცხვა, ანგარიშგება, კონტროლი

9.1. საზოგადოება აწარმოებს ბუღალტრულ აღრიცხვას მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

9.2. კანონით დადგენილი ბუღალტრული და სტატისტიკური ანგარიშგების გარდა ბუღალტრული ანგარიშგების მომხმარებელთათვის სხვა რაიმე ანგარიშგების წარდგენა აკრძალულია. მონაცემები, რომლებიც არაა გათვალისწინებული ბუღალტრული და სტატისტიკური ანგარიშგებით, შეიძლება გაიცეს მხოლოდ პარტნიორთა კრების გადაწყვეტილებით.

9.3. სახელმწიფო მმართველობისა და ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებს, რომლებსაც ევალებათ საზოგადოების საქმიანობის ცალკეული მხარეების შემოწმება, შეუძლიათ გააკონტროლონ იგი საჭიროებისამებრ და მხოლოდ თავიანთი კომპეტენციის ფარგლებში. საზოგადოებას უფლება აქვს, არ შეასრულოს ამ ორგანოთა ის მოთხოვნები, რომლებიც სცილდება მათ კომპეტენციას და არ გააცნოს ისინი მასალებს, რომლებიც არ ეხება კონტროლის საგანს.

9.4. საზოგადოება ათი წლის განმავლობაში ინახავს საბუღალტრო წიგნებსა და სხვა საბუღალტრო დოკუმენტებს, საინვენტარიზაციო ნუსხებს, ბალანსებს, მათ განმარტებით საორგანიზაციო ჩანაწერებსა და სამუშაო ინსტრუქციებს, მიღებულ და გაგზავნილ საქმიან კორესპონდენციას.

9.5. ბუღალტრული აღრიცხვისა და ანგარიშგების მონაცემების უტყუარობის უზრუნველყოფის მიზნით საზოგადოება სამეურნეო წლის განმავლობაში პერიოდულად ატარებს ქონების, მოთხოვნებისა და ვალდებულებების სრულ ან ნაწილობრივ ინვენტარიზაციას.

9.6. სამეურნეო წლის განმავლობაში ინვეტარიზაციების ჩატარების პერიოდულობას, თარიღებსა და საინვენტარიზაციო ქონების, მოთხოვნებისა და ვალდებულებების ნუსხას ადგენს საზოგადოების დირექტორი მოქმედი კანონმდებლობის ნორმების დაცვით. ინვენტარიზაცია ტარდება მოქმედი კანონმდებლობით დადგენილი წესით.

9.7. საზოგადოების დირექტორი ვალდებულია, ყოველი სამეურნეო წლის დამთავრებიდან სამი თვის ვადაში შეადგინოს საზოგადოების საქმიანობის ანგარიში და გასული სამეურნეო წლის წლიური ანგარიშგება, რომელიც მოიცავს ბალანსსა და მოგება-ზარალის ანგარიშს.

9.8. სამეურნეო წელი საზოგადოებაში იწყება კალენდარული წლის 1 იანვარს, მთავრდება იმავე კალენდარული წლის 31 დეკემბერს და შეადგენს 12 კალენდარულ თვეს.

9.9. საზოგადოებას შეუძლია, პერიოდულად, პარტნიორთა კრების გადაწყვეტილებით, ჩაატაროს თავისი საფინანსო–სამეურნეო საქმიანობის რევიზია ამ საქმიანობის, წლიური ანგარიშგებისა და ბუღალტრული აღრიცხვის რეგისტრების კანონმდებლობასა და წესდებასთან შესაბამისობის შემოწმების მიზნით.

9.10. რევიზიის ჩასატარებლად შეიძლება მოწვეულ იქნას დამოუკიდებელი აუდიტორი, რომელსაც ირჩევს პარტნიორთა კრება.

9.11. საზოგადოების ყველა თანამშრომელი ვალდებულია, მოთხოვნისთანავე წარუდგინოს აუდიტორს მისთვის საჭირო ყველა მასალა, საბუღალტრო დოკუმენტი და ახსნა–განმარტება.

9.12. რევიზიის შედეგებს აუდიტორი აფორმებს აუდიტორული აქტის სახით.

9.13. როცა რევიზიის ჩასატარებლად მოწვეულია დამოუკიდებელი აუდიტორი, წლიური ანგარიში მხოლოდ შესაბამის აუდიტორულ აქტთან ერთად წარედგინება დასამტკიცებლად საზოგადოების პარტნიორთა კრებას.

9.14. თუ რევიზია მოეწყო წლიური ანგარიშის შემოწმების მიზნით, რევიზიის მოწყობის შემდეგ წლიურ ანგარიშგებაში დირექტორის მიერ ცვლილებების შეტანის შემთხვევაში საზოგადოება ვალდებულია, მოაწყოს განმეორებითი რევიზია.

9.15. რევიზიები და შემოწმებები არ უნდა არღვევდეს საზოგადოების ნორმალური მუშაობის რეჟიმს.

9.16. აუდიტორს არა აქვს უფლება, გააცნოს ვინმეს შემოწმების შედეგები, გარდა პარტნიორთა კრებისა (იმ შემთხვევათა გარდა, როცა იგი კანონითაა ვალდებული, წარუდგინოს მის ხელთ არსებული მონაცემები სასამართლოს ან როცა კანონით ამ ცნობების დაფარვა დანაშაულებრივ ქმედებას ნიშნავს).

მუხლი 10. საზოგადოების რეორგანიზაცია და ლიკვიდაცია

10.1. საზოგადოების რეორგანიზაციაში იგულისხმება მისი სხვა ორგანიზაციულ–სამართლებრივი ფორმის საწარმოდ გარდაქმნა, სხვა საწარმოსთან (საწარმოებთან) შერწყმა ან რამოდენიმე საწარმოდ გაყოფა. ამ თავის დებულებები არ ვრცელდება პროცესებზე, რომლებიც დაკავშირებულია საზოგადოების შიგა სტრუქტურულ გარდაქმნებთან შტატების რეორგანიზაციის ან შემცირების, ფილიალების და სხვა სტრუქტურული ერთეულების გახსნისა და ლიკვიდაციის ჩათვლით. ეს საკითხები რეგულირდება საზოგადოების შინაგანაწესითა და ფილიალების დებულებებით. საზოგადოების ლიკვიდაციაში იგულისხმება პროცესი, რომლის დასრულების შედეგადაც საზოგადოება, როგორც იურიდიული პირი, წყვეტს არსებობას ისე, რომ არ რჩება მისი არცერთი უფლებამონაცვლე.

10.2. საზოგადოება შეიძლება გარდაიქმნას სააქციო, სოლიდარული პასუხისმგებლობის, კომანდიტურ საზოგადოებად ან კოოპერატივად. გარდაქმნისათვის საჭიროა პარტნიორთა გადაწყვეტილება, მიღებული კრებაზე წარმოდგენილ ხმათა 75%-ით ან მეტით სააქციო საზოგადოებად გარდაქმნის შემთხვევაში და წარმოდგენილ ხმათა 100%-ით სხვა შემთხვევებში.

10.3. საზოგადოება, პარტნიორთა კრების გადაწყვეტილებით, რომელიც მიღებულია კრებაზე წარმოდგენილი ხმების 75%-ით ან მეტით, შეიძლება, შეუერთდეს სხვა საწარმოს (საწარმოებს), ინდივიდუალური საწარმოების გარდა. შერწყმისას წარმოქმნილი საწარმო საზოგადოების უფლებამონაცვლეა. თუ ამ წესით საზოგადოებას მიუერთდება სხვა საწარმო (საწარმოები), მათ შორის ინდივიდუალური საწარმოც, საზოგადოება ამ საწარმოს (საწარმოების) უფლებამონაცვლე ხდება. თუ საზოგადოებისა და სხვა საწარმოს (საწარმოების) შერწყმით ახალი საწარმო წარმოიქმნება, ეს საწარმო საზოგადოების უფლებამონაცვლე ხდება. საზოგადოებასთან სხვა საწარმოს მიერთების, საზოგადოების სხვა საწარმოსთან მიერთების ან გაერთიანების შემთხვევაში პარტნიორთა წილობრივი მონაწილეობა უფლებამონაცვლე საწარმოში განისაზღვრება საზოგადოების პარტნიორთა კრების გადაწყვეტილებით.

10.4. საზოგადოება, პარტნიორთა კრების ერთხმად მიღებული გადაწყვეტილებით, შეიძლება დაიყოს რამოდენიმე ნაწილად და თითოეული მათგანი ჩამოყალიბდეს დამოუკიდებელ საწარმოდ თავისი ორგანიზაციულ–სამართლებრივი ფორმით. გაყოფის შედეგად წარმოქმნილ საწარმოებში საზოგადოების პარტნიორთა წილობრივი მონაწილეობა განისაზღვრება პარტნიორთა კრების გადაწყვეტილებით გაყოფის თაობაზე. ეს საწარმოები სოლიდარულად აგებენ პასუხს საზოგადოების ვალდებულებებზე, რომლებიც გაყოფამდე წარმოიშვა. გაყოფის შედეგად წარმოქმნილი რომელი საწარმო რჩება საზოგადოების უფლებმონაცვლედ, განისაზღვრება გაყოფის თაობაზე პარტნიორთა კრების გადაწყვეტილებით.

10.5. საზოგადოების გარდაქმნის (გარდა სააქციო საზოგადოებად გარდაქმნისა და იმ შემთხვევისა, როცა იგი მიიერთებს შვილობილ საწარმოს, რომლის კაპიტალის 100%-ის მფლობელი თვითონაა), სხვა სწარმოსთან მიერთების ან გაყოფის დაწყების შესახებ პარტნიორთა კრების მიერ მიღებული გადაწყვეტილება უნდა დარეგისტრირდეს საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოში. სააგენტოს, კრების გადაწყვეტილებასთან ერთად,უნდა წარედგინოს ყველა ცნობილი კრედიტორის სია მათი მოთხოვნების დაკმაყოფილების თარიღების მითითებით. გადაწყვეტილება რეორგანიზაციის დაწყების შესახებ და ინფორმაცია მისი მოთხოვნის დაკმაყოფილების ვადებზე საზოგადოებამ უნდა გაუგზავნოს ყველა ცნობილ კრედიტორს. რეორგანიზაცია დაწყებულად ითვლება საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოში პარტნიორთა შესაბამისი გადაწყვეტილების რეგისტრაციის მომენტიდან. საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო უფლებამოსილია, არ დაარეგისტრიროს საზოგადოების რეორგანიზაციის დაწყება, თუ ამ მომენტისათვის საზოგადოებას აქვს დავალიანება სახელმწიფოს მიმართ. რეორგანიზაციის დაწყებიდან

მის დამთავრებამდე პერიოდში საზოგადოება ვალდებულია, ნებისმიერ პირს მიაწოდოს ინფორმაცია ცნობილი კრედიტორებისა და მათი მოთხოვნების დაკმაყოფილების ვადების შესახებ. ამ პერიოდში (გარდა სააქციო საზოგადოებად გარდაქმნისა და იმ შემთხვევისა, როცა იგი მიიერთებს შვილობილ საწარმოს, რომლის კაპიტალის 100%-ის მფლობელი თვითონაა) კრედიტორები უფლებამოსილი არიან, მოითხოვონ საზოგადოებისაგან მათ მიმართ ნაკისრი ვალდებულებების ვადამდე შესრულება.

10.6. თუ საზოგადოების, როგორც იურიდიულ პირის მიმართ მიმდინარეობს სისხლის სამართლის საქმის წარმოება, მისი რეორგანიზაციის (გარდაქმნა, შერწყმა, გაყოფა) პროცედურების დაწყება დაუშვებელია ამ საქმის წარმოების დაწყებიდან მის შეწყვეტამდე ან გამამტყუნებელი განაჩენის კანონიერ ძალაში შესვლამდე.

10.7. კრედიტორთა დაკმაყოფილების პროცესის დასრულების შემდეგ, არაუგვიანეს რეორგანიზაციის დაწყებიდან 4 თვისა (თუ რეორგანიზაციის პროცესი გაგრძელებულია საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს გადაწყეტილებით საგადასახადო შემოწმების ვადის გაგრძელების გამო - საგადასახადო შემოწმების დასრულებიდან არაუგვიანეს 1 თვისა), პარტნიორთა კრება იღებს გადაწყეტილებას რეორგანიზაციის პროცესის დასრულების შესახებ და წარუდგენს მას საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოს.

10.8. საზოგადოების ლიკვიდაცია შესაძლებელია:

ა) პარტნიორთა კრების გადაწყვეტილებით;

ბ) საზოგადოების მიმართ გადახდისუუნარობის საქმის აღძვრის შემთხვევაში, როცა საზოგადოება ვალაუვალი ხდება ან როცა ვალები გადააჭარბებს მის ქონებას,

გ) სასამართლოს მიერ საზოგადოების მიმართ სისხლის სამართლის საქმის საფუძველზე გამოტანილი გადაწყვეტილების საფუძველზე.

10.9. ლიკვიდაციას 10.8 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტით განსაზღვრულ შემთხვევაში ახორციელებს საზოგადოების პარტნიორთა კრების მიერ დანიშნული პირი (პირები). ლიკვიდაციას 10.8 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტით განსაზღვრულ შემთხვევაში ახორციელებს გაკოტრების მმართველი, რომელსაც ნიშნავენ კრედიტორები და განჩინებით ამტკიცებს სასამართლო „გადახდისუუნარობის საქმის წარმოების შესახებ“ საქართველოს კანონით განსაზღვრული წესით. ლიკვიდაციას 10.8 პუნქტის „გ“ ქვეპუნქტით განსაზღვრულ შემთხვევაში ახორციელებს სასამართლოს მიერ დანიშნული პირი.

10.10. ლიკვიდაციის განმახორციელებელი პირის (პირების) პასუხისმგებლობა საზოგადოების მიმართ ისეთივეა, როგორიც დირექტორისა.

10.11. საზოგადოების ლიკვიდაციის დაწყების შესახებ პარტნიორთა კრების მიერ მიღებული გადაწყვეტილება უნდა დარეგისტრირდეს საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოში. სააგენტოს, კრების გადაწყვეტილებასთან ერთად, უნდა წარედგინოს ყველა ცნობილი კრედიტორის სია მათი მოთხოვნების დაკმაყოფილების თარიღების მითითებით. გადაწყვეტილება ლიკვიდაციის დაწყების შესახებ და ინფორმაცია მისი მოთხოვნის დაკმაყოფილების ვადებზე საზოგადოებამ უნდა გაუგზავნოს ყველა ცნობილ კრედიტორს. ლიკვიდაცია დაწყებულად ითვლება საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოში პარტნიორთა შესაბამისი გადაწყვეტილების რეგისტრაციის მომენტიდან. ლიკვიდაციის დაწყებიდან ქონების განაწილების დაწყებამდე პერიოდში ლიკვიდაციის განმახორციელებელი პირი ვალდებულია, ნებისმიერ პირს მიაწოდოს ინფორმაცია ცნობილი კრედიტორებისა და მათი მოთხოვნების დაკმაყოფილების ვადების შესახებ. ლიკვიდაციის დაწყებიდან მის დასრულებამდე პერიოდში კრედიტორები უფლებამოსილი არიან, მოითხოვონ საზოგადოებისაგან მათ მიმართ ნაკისრი ვალდებულებების ვადამდე შესრულება.

10.12. ლიკვიდაციის დაწყება არის საფუძველი:

ა) უნივერსიტეტის ავტორიზაციის და საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის გაუქმებისა;

ბ) სტუდენტების სტატუსის შეჩერების და მათი მობილობის უფლების წარმოშობისა ლიკვიდაციის დაწყების დღიდან 5 წლის ვადით;

გ) თანამშრომლებთან შრომითი ხელშეკრულებების შეწყვეტისა.

10.13. ლიკვიდაციის დაწყებიდან არაუგვიანეს 90-ე დღისა ლიკვიდატორმა შეიძლება დაიწყოს საზოგადოების ქონების რეალიზაცია საბაზრო ფასით ან აუქციონით. ამ გზით მიღებული თანხები უნდა განთავსდეს სასამართლოს ან ნოტარიუსის სადეპოზიტო ანგარიშზე. თუ პარტნიორები გადაწყვეტენ ლიკვიდირებული საზოგადოების ქონების ნატურით განაწილებას, ისინი ვალდებული არიან, მიაბარონ ეს ქონება ერთ-ეთრ პარტნიორს და საკუთარი ხარჯებით უზრუნველყონ მისი პირველადი სახით შენარჩუნება ნატურით გაყოფამდე. დეპოზიტზე განთავსებული თანხების ან მიბარებული ქონების გამოყენება ლიკვიდაციის პროცესის დასრულებამდე დასაშვებია მხოლოდ კრედიტორთა დაკმაყოფილების მიზნით.

10.14. კრედიტორთა დაკმაყოფილების პროცესის დასრულების შემდეგ, არაუგვიანეს ლიკვიდაციის დაწყებიდან 4 თვისა (თუ ლიკვიდაციის პროცესი გაგრძელებულია საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს გადაწყვეტილებით საგადასახადო შემოწმების ვადის გაგრძელების გამო - საგადასახადო შემოწმების დასრულებიდან არაუგვიანეს 1 თვისა) ლიკვიდატორი იღებს გადაწყეტილებას ლიკვიდაციის პროცესის დასრულების შესახებ და წარუდგენს მას საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოს, რომელიც ამის საფუძველზე აუქმებს საზოგადოების რეგისტრაციას.

10.15. საზოგადოების მიბარებული ქონება ან/და დეპოზიტზე განთავსებული თანხები რეგისტრაციის გაუქმებიდან 3 თვის გასვლის შემდეგ ნაწილდება პარტნიორთა შორის კაპიტალში მათი წილების პროპორციულად. საზოგადოების რეგისტრაციის გაუქმებიდან ქონების განაწილების დაწყებამდე პერიოდში ეს ქონება ან/და თანხები გამოიყენება კრედიტორთა მოთხოვნების დასაკმაყოფილებლად, თუ აღმოჩნდა, რომ ლიკვიდაციის პროცესში მათი მოთხოვნები სრულად არ დაკმაყოფილებულა.

10.16. ლიკვიდაციის, სხვა საწარმოსთან მიერთების ან გაერთიანების შემთხვევაში საზოგადოება, როგორც იურიდიული პირი, წყვეტს არსებობას, შესაბამისად წყდება მისი უფლებაუნარიანობაც.

მუხლი 11. დასკვნითი დებულებები

11.1. ეს წესდება შედგენილია ოთხ ეგზემპლარად. ოთხივე ეგზემპლარი თანაბარი იურიდიული ძალის მქონეა. მათგან ერთი ყოველთვის უნდა ინახებოდეს საზოგადოების დირექტორთან, მეორე - უნივერსიტეტის რექტორთან.

11.2. ამ წესდებაში შეტანილი ყოველგვარი ცვლილება ძალაშია მხოლოდ პარტნიორთა კრების შესაბამისი ოქმის სანოტარო წესით ან საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოში დამოწმებისა და, როცა ცვლილებები შეეხება სარეგისტრაციო მონაცემებს, მოქმედი წესით ამ ცვლილებების მეწარმეთა და არასამეწარმეო იურიდიულ პირთა რეესტრში რეგისტრაციის დღიდან. ამის გარეშე პარტნიორთა ყოველგვარი ზეპირი თუ წერილობითი შეთანხმება ამ წესდების ცვლილებათა შესახებ საზოგადოების კრედიტორებისა და სხვა მესამე პირებისათვის ბათილია.

11.3. თუ მოქმედი კანონმდებლობის ცვლილებების გამო ამ წესდების ესა თუ ის დებულება ბათილდება ან სხვაგვარად წესრიგდება, პარტნიორები ვალდებული არიან, შესაბამისი ცვლილებები შეიტანონ წესდებაში. როცა ასეთი ცვლილებები წესდებაში შეტანილი მაინც არაა, შესაბამისი ურთიერთობები წესრიგდება მოქმედი კანონმდებლობის ნორმებით.